ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

რატი ჯავახიშვილი

ბრექსიტი, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ეკა აკობია

ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

ბრექსიტი, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციებში ცალკეული წევრების დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების სურვილის განხილვა, მასთან დაკაშირებული პრობლემები და ნაციონალიზმი, რომელიც ხშირად აღიქმება საფრთხის შემცველად, როგორც გლობალიზაციისთვის, ასევე მსოფლიო სტაბილურობისათვის. ნაშრომი ეყრდნობა კონსტრუქტივიზმის თეორიას, რომელიც ფოკუსირდება ნორმებზე, შეხედულებებსა და წესებზე, მნიშვნელოვანია არა მატერიალური შესაძლებლობები, არამედ ის, თუ როგორ ვხედავთ ჩვენს ადგილსა და როლს მსოფლიოში. შესაბამისად, კონსტრუქტივიზმი აქცენტს აკეთებს იმაზე, თუ როგორ ყალიბდება იდენტობები და შემდეგ იკვლევს მათ გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე. ბრექსიტის კონტექსტში შევეცდები კონსტრუქტივიზმი გამოვიყენო იმ განსხვავებული დამოკიდებულებების ასახსნელად, რაც ჰქონდათ და აქვთ დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირში, თუნდაც საემიგრაციო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ასევე შევეცდები, ამ განსხვავებების ანალიზით დავხატო ის აღქმა, რაც ორივე მხარეს აქვს მათ ადგილთან და როლთან დაკავშირებით დღევანდელ მსოფლიოში და განვიხილო ნაციონალიზმის როლი ევროინტეგრაციაში. აღნიშნული საკითხი, ნაციონალიზმის როლი, განხილულია ბრექსიტის მაგალითზე. შევეცდები, იმ მიზეზების გამოკვეთას, რამაც ერთი მხრივ დააყენა მსგავსი რეფერენდუმის ჩატარების საჭიროება, ხოლო შემდგომ გადაწყვიტა კიდეც, თუ როგორი იქნებოდა რეფერენდუმის შედეგი.

Brexit: Causes and Consequences

The aim of this paper is to study individual members desire to have their own independent policy implementation in the international relations, its related problems and nationalism,which is often perceived as hazardous for the world stability.the work is based on the theory of constructivism ,which focuses on the standards ,beliefs and rules, for this theory the most important thing is not material opportunities ,but how we see our place and role in the world.theory of constructivism focuses on how identities are formed and then examines their impact on international relations,according to brexsit's context, I am going to use constructivism to explain the different attitudes ,that they had and have today in the UK and in the European Union, for example:immigration policies, to analyse this differences I draw the perception that both sides have their vision of their place and role in nowaday's world,

Later I will try to study role of nationalism in euro integration , also taking in mind Brexit and it's consequences , I will try to find and prove reasons, that took Britain this far, to referendum and later made them choose to leave .

სარჩევი

შესავალი_____1

ზოგადი ცნობები ვროკავშირის შექმნისა და მასში ბრიტანეთის გაწევრიანების შესახებ_____4

რეფერენდუმის იდეის მომწიფება_____6

საკითხის აქტუალობა და კვლევის მიზნები_____8

საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა_____9

ლიტერატურის მიმოხილვა_____10

კვლევის მეთოდები, დიზაინი, წყაროები_____13

ცვლადები, მათი განსაზღვრა და შემოწმება_____14

გამოყენებული ტერმინების განმარტება_____15

ევროსკეპტიციზმი _____15

ბრიტანეთი როგორც უხერხული პარტნიორი _____17

მიგრანტა კრიზისი და საიმიგრაციო პოლიტიკა _____19

“Leave” და “Stay” კამპანიები მათი გავლენა რეფერენდუმის შედეგებზე_____23

შედეგები, ირლანდიის საზღვრის საკითხი და შოტლანდიის ახალი რეფერენდუმი _____26

პოლიტიკოსების როლი____ _____30

მედიის როლი _____34

ნაციონალიზმის როლი ევროინტეგრაციაში 38

დასკვნა 40

შეზღუდვები 41

ბიბლიოგრაფია 42

შესავალი

მარტივად შეგვიძლია ვთქვათ ,რომ 2016 წლის 23 ივნისის რეფერენდუმით ბრიტანელმა ხალხმა , ყოველშემთხვევაში მათმა 73-მა პროცენტმა, მცირე ,მაგრამ გადამწყვეტი უპირატესობით გადაწყვიტა ევროკავშირის დატოვება. მიუხედავად თანაბარი შანსებისა, რასაც რეფერენდუმამდე ჩატარებული კვლევები ადასტურებდა, მისმა შედეგმა ბევრი ექსპერტი მაინც ძლიერ შოკში ჩააგდო. რამდენიმე კვირით ადრე ყოფილმა განათლების მინისტრმა Michael Gove-მა განაცხადა, რომ ამ ქვეყანას უკვე ყელში ამოუვიდა ექსპერტები 'people in this country have had enough of experts', თუმცა ალბათ ახლა ,ისე როგორც არასდროს, სწორედ ექსპერტების როლია უმნიშვნელოვანესი ამ მოულოდნელი მოვლენის ასახსნელად. ამ საკითხმა წარმოშვა კითხვები არა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის, არამედ ევროკავშირის მომავალთან დაკავშირებითაც. 1967 წლის 10 მაისს, მაშინ, როცა დიდმა ბრიტანეთმა მეორედ გადაწყვიტა ევროკავშირის წევრი გამხდარიყო, თემთა პალატაში ამ გადაწყვეტილებამ დადებითი ბალანსი 487 26-ის წინააღმდეგ აჩვენა. (https://www.bbc.com/news/uk-politics-32810887), ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი უმრავლესობა, რაც ბრიტანეთს ოდესმე უნახავს, თუმცა ეს ყველაფერი ბრექსიტის შედეგად გადაიშალა - ყველა ის სარგებელი, რომელიც დიდ ბრიტანეთს შეეძლო

ევროკავშირისგან მიეღო, ახლა მარტივად მოსაპოვებელი აღარ იქნება. როგორც არ უნდა თვლიდნენ ამომრჩევლები, დიდი ბრიტანეთი ევროკავშირთან ერთად ნამდვილად ქმნიდა რაღაც კოლექტიურ სიკეთეს, (აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრებს შორის ბრიტანეთი ყველაზე მეტ ფულს ხარჯავდა სამხედრო სფეროზე და, ამასთან, ყველაზე მრავალრიცხოვანი დიპლომატიური წარმომადგენლობაც მას ჰყავდა

რასაც ბევრი რამის შეცვლა შეეძლო ,)
http://ec.europa.eu/budget/graphs/revenue_expediture.html საკითხავია, შეიძლება კი ბრექსიტი იქცეს გადამწყვეტ წერტილად ვროკავშირისთვის, რომელსაც სხვადასხვა კრიზისებთან უწევს გამკლავება როგორც საკუთარი გაერთიანების შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თუმცა, ბუნებრივია , ნაადრევი დასკვნებისგან თავი უნდა შევიკავოთ, ევროკავშირს არა ერთი მწვავე კრიზისისთვის გაუძლია აქამდეც და რატომ უნდა იყოს ეს გადაულახავი ? პოლიტიკაც ხომ გარკვეულწილად კრიზისები და მათთან ბრძოლაა. ბევრი რამეა იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ ბრექსიტს მივიღებთ საბოლოოდ, თუ ეს იქნება ნაჩქარევი და ქაოსური პროცესი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის გამოიწვევს ნდობის გაქრობას როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს , თუმცა, სავარაუდოა, რომ ევროკავშირი არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ დიდ ბრიტანეთს თუნდაც მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობების მხრივ ჰქონდეს იგივე პრივილეგიები, რაც მას ჰქონდა წევრობაზე უარის თქმამდე, რადგან ეს გარკვეულწილად უნდა იქცეს შემაკავებელ მაგალითად სხვა წევრი ქვეყებისთვის, რომლებსაც შეიძლება გაუჩნდეთ იმავე გადაწყვეტილების მიღების სურვილი.

ევროკავშირს, რა თქმა უნდა, მოუწევს საკუთარ მმართველ გუნდში დიდი ბრიტანეთის არსებული როლის არა მხოლოდ რამენაირად ანაზღაურება, ასევე იმ ფინანსურ დანაკლისზე ფიქრი, რასაც ყოველ წელს დიდი ბრიტანეთი იღებდა ევროკავშირის სასარგებლოდ. ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირისთვის უდიდესი დანაკარგი იქნება. “ვფიქრობ, ის დასუსტდება, ამ სიტყვის თითქმის ყველა გაგებით - იქნება ეს სამხედრო, დიპლომატიური თუ მსოფლიოში ჩვენი ეკონომიკური ძალაუფლების თვალსაზრისით. ამდენად, ეს ევროკავშირისთვის საკმაოდ ტრაგიკული დანაკარგი იქნება“-შტეფან ლენე.

რაც შეეხება ნაციონალიზმს , როგორც ვიცით, ნაციონალიზმი, ეს არის იდეოლოგია და მოძრაობა, რომელიც დგას რომელიმე სახელმწიფოს იდეასა და ინტერესებზე. ნაციონალიზმი იცავს ქვეყნის სუვერენიტეტს და მის მოქმედებას იმ ტერიტორიაზე, რომელსაც მიიჩნევენ სამშობლოდ. ნაციონალიზმის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველმა ერმა თავად უნდა მართოს და განკარგოს საკუთარი აწმყო და მომავალი. ნაციონალიზმი ასევე ქმნის ცალკე ერის იდენტობას იმ დამახასიათებელი ნიშნებით, რაც შეიძლება გამოვლინდეს კულტურაში, წეს- ჩვეულებებში, საერთო ისტორიასა ან რელიგიაში. ნაციონალიზმი, რაც მთავარია, ცდილობს და უზრუნველყოფს ერის ერთიანობის შენარჩუნებას.

ნაციონალიზმს, ისევე როგორც ფაქტობრივად ყველა მოვლენას ჩვენს სამყაროში, აქვს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მხარეები. ნაციონალიზმი არ არის იდეა, რომელიც თავის თავში გულისხმობს ერების განცალკევებას სხვებისგან, ან მათზე გაბატონებას. პირიქით, ნაციონალიზმი უზრუნველყოფს იმ სივრცის გაზრდას, რომელშიც ადამიანები ზრუნავენ ერთმანეთზე. საწყის ეტაპებზე ეს სივრცე ოჯახით, თემით შემოიფარგლება. მხოლოდ ნაციონალიზმს შეუძლია ეს სივრცე ერის დონეზე აიყვანოს და დიდ მასშტაბებს მიაღწიოს. რაც შეეხება ნაციონალიზმის ნეგატიურ მხარეს, ეს მისი რადიკალური ფორმებია, რომლებიც უკვე კარგავს იმ პოზიტიურ საწყისს, რაც ნაციონალიზმს აქვს და ხშირად დამანგრეველ ძალად იქცევა ხოლმე . ნაციონალიზმმა ევროპა მეოცე საუკუნეში ორჯერ მიიყვანა უფსკრულამდე და ევროინტეგრაცია, ალბათ, სხვა არაფერი იყო, თუ არა ამ ბარიერის გადალახვის მცდელობა, ჩანაცვლება რაღაც უფრო დიდით, მნიშვნელოვნით. საბოლოო ჯამში, ეს იყო მცდელობა გაერთიანების იმ იდენტობების, რომლებიც სხვა შემთხვევაში ერთმანეთის განადგურებას გააგრძელებდნენ.

https://www.britannica.com/topic/nationalism

თუმცა ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, ბრექსიტთან ერთად, აშკარად ქმნის ვარაუდის გაკეთების საფუძველს, რომ ევროპაში ნაციონალიზმი მხოლოდ წარსულის კუთვნილება ნამდვილად არ არის. მართალია, დღევანდელ გლობალურ სამყაროში ევროპის გადარჩენა დამოკიდებულია ინტეგრაციასა და ერთიან ქმედებაზე, რაც სცილდება მხოლოდ სახელმწიფოებრივ დონეს, მაგრამ ევროპის ინტეგრაცია მეტად წარმატებული იქნება, თუ მისი ამოცანა სახელმწიფოების დონის მოშლა ან განადგურება არ იქნება , სხვა შემთხვევაში, ეს იდეა ნამდვილად მარცხისთვისაა განწირული .

ზოგადი ცნობები ვროკავშირის შექმნისა და მასში ბრიტანეთის გაწევრიანების შესახებ

ევროკავშირი იყო 28 ევროპული ქვეყნის გაერთიანება ,რომელიც ბრექსიტის რეფერენდუმის შედეგად უკვე 27 ქვეყნის გაერთიანებად იქცევა. ის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა და იყო ევროპული ქვეყნების ერთმანეთთან ინტეგრაციის მცდელობა, ქვეყნებისა, რომელთაც არც თუ ისე შეხმატკბილებული წარსული ჰქონდათ. მაგალითად, გერმანიამ და საფრანგეთმა 70 წლის განმავლობაში სამჯერ მოასწრეს ერთმანეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა. ბუნებრივია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განადგურებული ევროპა საჭიროებდა ერთიანობას, სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას, ბარიერების მოხსნას. შეიძლება ითქვას, რომ ევროპას სჭირდებოდა საერთო მიზანი, ამოცანა, რის გამოც ისინი დაივიწყებდნენ წარსულ უთანხმოებებს. ისინი ცდილობდნენ ახლო კავშირების ქონის გზით მიეღწიათ არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდისთვის, არამედ სამხედრო უსაფრთხოებისთვისაც. 1951 წელს ექვსმა ევროპულმა ქვეყანამ: ბელგიამ, საფრანგეთმა , ნიდერლანდებმა, დასავლეთ გერმანიამ , იტალიამ და ლუქსემბურგმა ხელი მოაწერეს პარიზის შეთანხმებას , რომლის ძალით 1952 წელს ჩამოაყალიბეს ევროპის ნახშირისა და ფოლადის კავშირი. იმდროინდელ და დღევანდელ მსოფლიოშიც მიაჩნდათ, რომ ქვეყნები რომლებსაც

აქვთ მჭიდრო ეკონომიკური კავშირები, ნაკლებად სავარაუდოა , რომ ერთმანეთის წინააღმდეგ ომში ჩაებას. სწორედ ეს იყო ევროკავშირის შექმნის ინსპირაცია, თუმცა დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც ასევე იყო მიწვეული ამ კავშირში გასაწევრიანებლად, უარი განაცხადა. 1957 წლის 25 მარტს სწორედ ამ ექვსმა ქვეყანამ გააფორმა რომის ორი ხელშეკრულება, რითაც შეიქმნა ერთი მხრივ ევროპის ატომური კავშირი (Euratom) და მეორე მხრივ ევროპის ეკონომიკური კავშირი (EEC) , ამ უკანასკნელს უნდა ეზრუნა წევრ ქვეყნებში შიდა ბარიერების მოხსნისთვის, ასევე საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის. აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთი წევრი მხოლოდ 1973 წელს გახდა , მანამდე მისი წევრობა ორჯერ დაიბლოკა საფრანგეთის მიერ. საფრანგეთში მიაჩნდათ, რომ დიდი ბრიტანეთი შეასუსტებდა მათი ქვეყნის მნიშვნელობას გაერთიანებაში . ორივე განაცხადს ვეტო საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა დაადო. მას შემდეგ, რაც დე გოლმა დატოვა პოსტი, ინგლისმა კვლავ გააგზავნა მოთხოვნა. ამჯერად ის წარმატებული აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, თავიდან მემარცხენე ფრონტი ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირში გაერთიანებას და ბრიუსელისთვის სუვერენიტეტის ნაწილის დათმობას. მოგვიანებით ამავე მიზეზით მემარჯვენე ფრონტიც იბრძოდა. საინტერესოა მარგარეტ ტეტჩერის დამოკიდებულებაც. მართალია, ის ერთიანი ბაზრის შექმნას მხარს უჭერდა, მისი მოღვაწეობის დროს ევროკავშირთან ურთიერთობა მაინც გაცივდა. საზოგადოებრივი აზრი ევროკავშირში დარჩენის ან გასვლის შესახებ გამუდმებით იცვლება. კვლევებით დღეს მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი ევროკავშირში დარჩენას ემხრობა, თუმცა აზრი გაყოფილია, რაც გაურკვევლობას იწვევს. (https://www.britannica.com/topic/European-Union/Creation-of-the-European-Economic-Community ევროკავშირის შექმნის ისტორია)

ამასთანავე, დიდი ბრიტანეთის კავშირების გამო აშშ -სთან, ის შეიძლება ტროას ცხენი აღმოჩენილიყო ,რომელიც გაერთიანებაში ამერიკის გავლენას გაავრცელებდა. 1975 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები ევროკავშირში დარჩენასთან დაკავშირებით იმედისმომცემი იყო- 67.2 მომხრე, 32.8 წინააღმდეგი, ეს აშკარა უპირატესობა ნათლად ასახავდა იმ იმედებს , რასაც დიდ ბრიტანეთში ევროკავშირზე

ამყარებდნენ. თუმცა ენთუზიაზმი, რომელიც თან ახლდა ახალ გაერთიანებას, დროის გასვლასთან ერთად განელდა. ევროსკეპტიციზმი 1993 წელს თუ შეადგენდა 38% ს, 2015 წლისთვის ის უკვე 65 % იყო. რისი მაჩვენებელი შეიძლება იყოს ეს? ალბათ იმის, რომ ამ გაერთიანებამ ადამიანების მოლოდინები ვერ გაამართლა. მიუხედავად რეფერენდუმის შედეგების ერთმნიშვნელოვნებისა, გასვლის დეტალები ამდენი ხნის შემდეგაც კვლავ ბუნდოვანი და გაურკვეველია.

რეფერენდუმის იდეის მომწიფება

შეიძლება ითქვას ,რომ ადამიანებს ეს ამბავი ისე დაატყდათ თავს, თითქოს მას არც არასდროს მოელოდნენ და მოულოდნელად დიდი ბრიტანეთი ერთ დიდ გაურკვევლობაში აღმოჩნდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეფერენდუმი დანიშნა დევიდ კამერონმა , ადამიანმა, რომელიც საერთოდ არ იყო მომხრე ევროკავშირის დატოვების , ის აცხადებდა, რომ მიუხედავად არა ერთი სირთულისა და იმედგაცრუებისა, მათ ჯერ კიდევ შეეძლოთ შეცვლა ევროკავშირთან ურთიერთობების და ის ამაყობდა იმ პროგრესით, რაც ჰქონდა მას მანამდე, თუმცა UK Independence Party -ს მიერ მიღებული 3,8 მილიონი ხმა 2015 წლის არჩევნებში ღია ინდიკატორი იყო იმის, რომ ევროსკეპტიციზმი ამომრჩეველში სულ უფრო მეტად იკიდებდა ფეხს. კამერონს მაინც მოუწია საკუთარი პირობის შესრულება, ხოლო რეფერენდუმის შედეგების შემდგომ მან დატოვა საკუთარი პოსტი, რადგან ეს შედეგი მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ბუნებრივია, აქ საქმე არ გვაქვს პერსონალურ მიუღებლობასთან ან გაბრაზებასთან იმ ადამიანებზე, ვინც უარი თქვეს ევროკავშირში დარჩენაზე . საქმე იმაშია , რომ ეს პროცესი არ არის ორდინალური და მრავალი კრიზისის წყაროდ შეიძლება იქცეს.

არა ერთ სირთულესთან ერთად ერთ -ერთი ყველაზე სენსიტიური საკითხი შეიძლება გახდეს ირლანდიის საზღვრის განსაზღვრა. ამ რეგიონის სტაბილურობისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ საზღვარი მიუხედავად მომავალი შეთანხმებებისა არ წარმოადგენდეს საზღვარს მისი კლასიკური გაგებით. ბუნებრივია, ამ რეგიონის მცხოვრებლები ნაკლებად გრძნობდნენ “უცხო სახელმწიფოში” თავს

მაშინ, როცა ერთ გაერთიანებაში იმყოფებოდნენ იმ ქვეყანასთან, რომელსაც თავის ისტორიულ სახელმწიფოდ მიიჩნევენ. ამ მხრივ პრობლემების გაჩენასთან ერთად, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს წარსულში მიღწეული შეთანხმებები , რომლებაც მშვიდობა მოუტანა ჩრდილოეთ ირლანდიას. მიუხედავად ამისა, რადგან რეფერენდუმი უკვე შემდგარი ფაქტია, დიდ ბრიტანეთს უკვე აღარ შეუძლია ეცადოს ევროკავშირთან ეკონომიკური კავშირების იგივე დონეზე ქონა, რადგან ასეთ შემთხვევაში მას კვლავ მოუწევს ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეგულაციების გათვალისწინება, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ის ამ გადაწყვეტილებებისა და რეგულაციების მიღების პროცესში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. იმის მიხედვით, თუ რომელმა რეგიონებმა და ფენებმა რა არჩევანი გააკეთეს, მომავალში მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალება შეიძლება მოგვცეს. აღსანიშნავია, რომ დასაქმების, განათლებისა და შემოსავლის ნაკლებობით გამორჩეულმა რეგიონებმა, ასევე მათ, ვისაც ძლიერ აწუხებდა მიგრაციის პრობლემა სხვა ქვეყნებიდან, მეტად მისცეს ხმა ევროკავშირის დატოვებას. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის დატოვებას მომხრეები ჰყავდა თითქმის მთლიან პოლიტიკურ სპექტრში. ეს რეფერენდუმი თითქოს იყო კონსერვატიული პოლიტიკური შეხედულებების გამარჯვება კოსმოპოლიტიზმზე , და საშიში შეხედულების დამკვიდრება, რომ ცხოვრება დიდ ბრიტანეთში უარესდება. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ამ გადაწყვეტილებით ამომრჩეველს უნდოდა უკეთესი საიმიგრაციო წესების, უკეთესი ჯანდაცვის პროგრამის, უკეთესი ეკონომიკის მიღება, ამას კი ყველა მათგანი უკავშირებდა შესაძლებლობას, რომ მათ უკეთ ეკონტროლებინათ საკუთარი კანონმდებლობა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ბრიტანეთს და განსაზღვრავს მის ბედს, უნდა მიიღონ ბრიტანეთშივე და ბრექსიტი სწორედ ეს შანსი იყო ბრიტანელებისთვის- დაებრუნებინათ კონტროლი საკუთარ ქვეყანასა და საზღვრებზე, ხოლო ისინი, ვინც დარჩენას ამჯობინებდნენ, გადაწყვეტილებას იღებდნენ არა იმიტომ, რომ ევროკავშირი იდეალურ ორგანიზაციად მიაჩნდათ, არამედ იმიტომ, რომ რისკები, რომლებიც თან ახლდა გასვლის პროცესს, რიგ შემთხვევებში მეტად დიდი იყო. ნებისმიერი ორგანიზაციის დატოვება, ბუნებრივია, გავლენას არ მოახდენს მხოლოდ იმაზე, ვინც ამ გაერთიანებას

ტოვებს, გასვლა გავლენას ახდენს ზოგადად გაერთიანებაზე და მის მოქმედ წევრებზეც. ეს გავლენა მეტწილად გამსვლელი წევრი სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მასშტაბებზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ გამოიწვია დიდი რეზონანსი დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებამ, რადგან მისი, როგორც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მასშტაბები, ძალიან დიდია. ნათელია, რომ არ შეიძლება ერთი და იგივე გავლენა ჰქონდეს ბრიტანეთის და, მაგალითად, მალტის გასვლას, თუმცა, წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უდავოდ ორივე მნიშვნელოვანია.

2019 წლის 31 ოქტომბერი, როგორც ვიცით დრო, როცა დიდმა ბრიტანეთმა აუცილებლად უნდა დატოვოს ევროკავშირი, არც ისე შორსაა. კითხვები კი ამ საკითხის ირგვლის კვლავ ბევრია. რამ გამოიწვია ასეთი ძლიერი სკეპტიციზმი ევროსტრუქტურების მიმართ, რატომ ვერ შეძლო ევროკავშირმა გზების მოძებნა, რომელიც ადამიანებს დაანახებდა, რომ მათი პრობლემები მოგვარება აუცილებლად გასვლაზე არ არის დამოკიდებული, და ალბათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი - იქნება თუ არა ეს პრეცენდენტული და რა შედეგებს მოიტანს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე . (.http://www.referendumanalysis.eu/eu-referendum-analysis-2016/section-2-politics/rhetoric-of-excess/ გამოყოფის რიტორიკა)

საკითხის აქტუალობა და კვლევის მიზნები

დიდი ბრიტანეთის გამოსვლა არ არის საკითხი, რომელიც ვიწრო ჭრილში მხოლოდ ევროპაზე ან მის უშუალო მეზობლებზე ახდენს გავლენას, ბუნებრივია, ლოგიკურია, რომ მათზე ეს მეტ გავლენას ახდენს, თუმცა ეს მოვლენა ნამდვილად არ არის მხოლოდ რეგიონალური მასშტაბის. ანალიტიკოსები აღნიშნავენ იმასაც, რომ ბრექსიტის შედეგები ბრიტანეთში უკვე იგრძნობა. თვით პროცესის გავლენა გახდა შესამჩნევი - გაიზარდა ინფლაცია, შემცირდა მოხმარება, დაზარალდა ქვეყნის გაყიდვების სეგმენტი. დიდი ბრიტანეთი დატოვა სხვადასხვა საინვესტიციო ფონდმა, რათა დაიცვას თავი გაურკვევლობისგან. მძიმე რიცხვები წარმოადგინა ასევე ბრიტანეთის

ავტომწარმოებელმა ასოციაციამ. ასევე აანონსებს ევროკავშირი თავის ნაბიჯებს საკუთარი ზარალის შესამცირებლად. კომპანიებმა უკვე შექმნეს ორი ათასზე მეტი სამუშაო ადგილი ევროპის სხვა ქვეყნებში. ყველაზე პოპულარულ ჩამნაცვლებლად იქცნენ ფრანკფურტი, პარიზი და დუბლინი. ფაქტია ის, რომ უკვე დაზარალდა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეკონომიკა, თუმცა წინ შეიძლება უფრო მეტი ზიანი იყოს.

მიზანი ამ თემის განხილვის მარტივია, რატომ გახდა ქვეყნისთვის, რომელიც თითქმის დაარსებიდანვე არის ორგანიზაციის წევრი, სასურველი მისი დატოვება მაშინ, როცა ამ ორგანიზაციის ავტორიტეტი და მნიშვნელობა დღევანდელ მსოფლიოში არ შემცირებულა და ერთი შეხედვით ის მშვენივრად ართმევდა მისი დაფუძნებისას არსებულ მიზნებს, მნიშვნელოვანია ისიც ,რომ ადამიანები იმდენად იყვნენ დაღლილი ევროკავშირთან არსებული სტატუს ქვოთი, რომ ამჯობინეს ხმა მიეცათ დატოვებისთვის მაშინ, როცა მათთვის ცხადი ალტერნატივა არც არავის შეუთავაზებია. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ასეთი შედეგი გასაოცარიც კია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბრექსიტის მომხრე მხარე მზადაც კი არ იყო იმისთვის, რომ ისინი მოიგებდნენ, რადგან მათ არ ჰქონდათ და არც არასდროს ჰქონიათ დეტალური გეგმა ბრექსიტის შემდგომი ბრიტანეთის შესახებ. ევროინტეგრაცია, რაც ევროკავშირის მთავარი მიზანია, ბუნებრივია ამცირებს ქვეყნის სუვერენიტეტს და მის გავლენას საკუთარ აწმყოსა და მომავალზე , რადგან ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ხდება გაერთიანების წევრი, ყველა შემთხვევაში იბოჭება ამ გაერთიანების საერთო მიზნებითა და ინტერესებით, აქედან გამომდინარე, ნაციონალიზმი, რომელიც სწორედ ქვეყნის სუვერენიტეტს მიიჩნევს ხელშეუხებლად, წინააღმდეგობაში მოდის ევროინტეგრაციის პროცესთან და ადამიანებს უწევთ არჩევანის გაკეთება, და შესაძლოა სწორედ მიჯაჭვულობამ დიდი ბრიტანეთის ამომრჩევლის საკუთარი სახელმწიფოს სუვერენიტეტისადმი განაპირობა კიდეც რეფერენდუმის ამგვარი შედეგი.

საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა

ბუნებრივია, საქმე ნამდვილად გვაქვს უკვე შემდგარ ფაქტთან, რომელსაც არ შეიძლება მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზეზი ჰქონდეს, თუმცა აუცილებლად იქნება ერთი მიზეზი, რომელიც ალბათ სხვა ყველაზე მნიშვნელოვანია. შესაბამისად, მიზანი მოცემული კვლევის არის რეფერენდუმის შედეგების მიზეზის ძიება, და პასუხის გაცემა კითხვაზე, რომელსაც ხშირად სვამენ სხვადასხვა სტატიებსა და ინტერვიუებში - რატომ გადაწყვიტა ბრიტანელმა ხალხმა უარი ეთქვა ევროკავშირზე . შესაბამისად, საკვლევი კითხვა გამოიყურება შემდეგნაირად- რატომ გადაწყვიტა დიდი ბრიტანეთის ამომრჩევლემა ევროკავშირის დატოვება. ჩემი ჰიპოთეზა ეხება ნაციონალიზმს, ჩემი აზრით ,სწორედ ნაციონალისტურმა განწყობებმა და მისმა გაღვივებამ უკანასკნელ პერიოდში იქონია გადამწყვეტი გავლენა ამომრჩევლის ნებაზე, ამასთანავე, მიმაჩნია, რომ ნაციონალიზმი სხვადასხვა ქვეყნებში შეიძლება იქცეს ევროინტეგრაციის როგორც შემაფერხებელ, ასევე დამხმარე ძალად.

ლიტერატურის მიმოხილვა

მოცემულ ნაშრომში შევეცდები გამოვიყენო კონსტრუქტივიზმის თეორია, რომელიც ფოკუსირდება ნორმებზე შეხედულებებსა და წესებზე , მნიშვნელოვანია არა მატერიალური შესაძლებლობები, არამედ ის, თუ როგორ ვხედავთ ჩვენს ადგილსა და როლს მსოფლიოში. შესაბამისად, კონსტრუქტივიზმი აქცენტს აკეთებს იმაზე, თუ როგორ ყალიბდება იდენტობები და შემდეგ იკვლევს მათ გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე, ბრექსიტის კონტექსტში შევეცდები კონსტრუქტივიზმი გამოვიყენო იმ განსხვავებული დამოკიდებულებების ასახსნელად, რაც ჰქონდათ და აქვთ დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირში თუნდაც საემიგრაციო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ასევე შევეცდები, ამ განსხვავებების ანალიზით დავხატო ის აღქმა, რაც ორივე მხარეს აქვს მათ ადგილთან და როლთან დაკავშირებით დღევანდელ

მსოფლიოში, ბრიტანეთის თვალთხედვა საკუთარი თავის შესახებ, მისი აღქმა საუთარი თავის, როგორც დიდი ძალის, მისი იდეა საკუთარი განსხვავებულობისა და საპარლამენტო დამოუკიდებლობის, მეორე მხრივ კი ევროკავშირის ხედვა უფრო ახლო გაერთიანებასა და ადამიანთა თავისუფალ გადაადგილებაზე. (https://www.psa.ac.uk/sites/default/files/conference/papers/2018/Oliver%20and%20Wilson.pdf The English School, Constructivism and Brexit: Theoretical Investigations)

ჩემი აზრით, მსგავს რადიკალურ ცვლილებებს საზოგადოების დამოკიდებულებაში საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი მიზეზები სჭირდება. ეს მიზეზები კი საკმაოდ რეალურია, მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებით წინასარეფერენდუმო პერიოდში ამ მიზეზების გაზვიადება და უტრირებაც კი ხდებოდა მედიისა თუ პოლიტიკოსების მხრიდან, მათში მაინც იყო სიმართლის მარცვალი, ხოლო როცა ამ მიზეზებს ადამიანები აფასებდნენ სუბიექტურად, საკუთარი ნაციონალისტური გაწყობების საფუძველზე, ისინი მეტად საშიშად და საფრთხის მომცველად გამოიყურებოდნენ, ვიდრე რეალურად შეიძლება ყოფილიყო. როგორც მოგეხსნებათ, უკანასკნელ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხი, რომელიც ევროკავშირის წინაშე იდგა, ეს მიგრანტთა აქამდე არნახული რაოდენობა იყო, იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირის ერთიანი პოზიცია სავალდებულო იყო მისი წევრი ქვყნებისთვის. ევროკავშირის წევრების ნაწილი იძულებული იყო გაეხსნა საკუთარი საზღვრები მიგრანტთა ნაკადებისთვის მაშინ, როცა ეს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების ნების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავდა, რაც, ბუნებრივია, ევროკავშირის, როგორც ამ ყველაფრის სათავის მიმართ აგრესიას იწვევდა. თუმცა, ნაკლები მიგრაცია ნაკლებ კონკურენციას ნიშნავს, მათ შორის სამსახურის მაძიებლებისთვის, ასევე მაღალ ხელფასებს, თუმცა კონკურენციის არარსებობა ნამდვილად არაა შორეულ პერსპექტივაში ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი. ტვინების გადინების მოვლენით, რითაც ხშირად სარგებლობენ ბრიტანეთის მსგავსი განვითარებული ქვეყნები, შეიძლება ითქვას, რომ ვეღარ მოხდება, არადა ხშირად სწორედ ეს უცხო ადამიანები ემსახურებიან

მათთვის უცხო ქვეყანას საკუთარი ინტელექტისა და შრომის ხარჯზე. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ერთ-ერთი ჰიპოთეზის მიხედვით, მიზეზი ბრექსიტის იყოს ბრიტანეთის დამოუკიდებლობის უზრინველყოფა, თუმცა ეს ჯერ კიდევ საკითხავია. ერთი მხრივ დიდი ბრიტანეთი კვლავ რჩება შებოჭილი ნატოს წევრობით და სხვა მრავალი საერთაშორისო შეთანხმებით, ამასთანავე, ევროკავშირის დატოვება დიდ ბიტანეთს აკარგვინებს ძალაუფლებას სულ უფრო და უფრო ურთიერთდამოკიდებულ სამყაროზე გავლენის მოსახდენად.

მნიშვნელოვანია უსაფრთხოების საკითხიც, ერთ- ერთი ჰიპოთეზის მიხედვით, ევროკავშირის წევრობა ბრიტანეთს გარკვეულწილად აქცევდა სამიზნედ, რომელსაც საიმიგრაციო პოლიტიკის წყალობით კარი მუდამ ღია ჰქონდა, თუმცა მეორე მხრივ Michael Fallon- მა პირდაპირ განაცხადა, რომ ევროკავშირი ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იყო ბრიტანეთისთვის უსაფრთხოების სფეროში. ბუნებრივია, ორგანიზაციის ყველა წევრთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა და მონაცემების გაცვლა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სძენს.

(https://www.independent.co.uk/news/business/brexit-trade-deal-security-terrorism-eu-michael-fallon-must-be-linked-warnings-a7662766.html)

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეხედულება კი, რასაც ჩემი აზრით არსებობის ყველაზე ობიექტური მიზეზები ჰქონდა, არის ის, რომ ევროკავშირი ნელ-ნელა იქცა ორგანიზაციად, რომელმაც ხალხის მმართველობა ჩაანაცვლა ადმინისტრაციის მმართველობად და ევროკავშირის რეგულაციები ხშირად ზღუდავდა დიდი ბრიტანეთის პარლამენტს, გარდა ამ ყველაფრისა, ისევე, როგორც გასვლის, ასევე დარჩენის კამპანიის მომხრეები ადასტურებენ, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი მედიამ და პოლიტიკოსებმა შეასრულეს. პოლიტიკოსებმა კამერონმა და ოსბორნმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს, და ეს შედეგი დადგა არა რომელიმე მიზეზით, არამედ სხვადასხვა, თუნდაც ცალკე უმნიშვნელო, მაგრამ მთლიანობაში მნიშვნელოვან მიზეზთა ერთობლიობით.

კვლევის მეთოდები, დიზაინი, წყაროები

მოცემულ საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენებ კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს. რაც შეეხება საკვლევ დიზაინს, გამოვიყენებ „Case Study“ ტიპის დიზაინს, რომელიც ფოკუსირებას ახდენს ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე და შეისწავლის მის გამომწვევ მიზეზებს.

მონაცემები, რომელთა მოპოვებას და დამუშავებასაც ვაპირებ, იქნება დოკუმენტები, სამეცნიერო კვლევები და ნაშრომები, ინტერვიუები, გამოკითხვის შედეგები, ისტორიული ფაქტები და გამოცდილებები, საჯარო გამოსვლები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნულ მოვლენასთან.

გამოყენებული იქნება ძირითადად მეორადი წყაროები.

აღნიშნული კვლევისთვის, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი იქნება ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა ევროკავშირის და დიდი ბრიტანეთის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა. ევროკავშირის დამოკიდებულება ცალკეული ქვეყნების განსხვავებულ დამოკიდებულებაზე, თუნდაც მიგრანტთა საკითხის მიმართ, რეფერენდუმში მონაწილე ამომრჩევლების ასაკობრივი,სოციალური მდგომარეობისა და განათლების ხელმისაწვდომობის სხვა მახასიათებლების მიხედვით დაყოფა, რადგან სწორედ ამ განსხვავებებმა განაპირობა ნაციონალისტური განწყობების გაღვივება . მაგალითად ,როგორც ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ჩანს, ახალგაზდა ადამიანების უმეტესობამ ხმა მისცა დარჩენას და არა დატოვებას, ისინი ძირითადად 24 წლამდე ადამიანები არიან, რომლებიც ახალ ეპოქაში დაიბადნენ. ეპოქაში, სადაც კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით საზღვრები არ არსებობს და თითქოს ყველაფერი შესაძლებელია, და მათ, ბუნებრივია, არ უნდათ, მაგალითად, სამსახურს საფრანგეთში სჭირდებოდეს ნებართვა, ან მათ მეგობრებს, რომლებიც ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან არიან , ბრიტანეთში სამუშაოდ დასარჩენად ვიზა სჭირდებოდეთ. მათთვის ეს ყველაფერი ზედმეტი თავის ტკივილი

და თავისუფლების შეზღუდვაა, იმ თავისუფლების, რომელშიც დაიბადდნენ და ვერ დათმობენ.



.

ამის მიხედვით შეიძლება ტენდენციების გამოკვეთა, ვინ მისცა ხმა გამოყოფას და ვინ დარჩენას, პოლიტიკური შეხედულებები და მიზეზი, თუ რატომ იყვნენ გასვლის მომხრეები თითქმის ყველა პოლიტიკური ჯგუფიდან წარმოდგენილნი.

(https://blogs.lse.ac.uk/brexit/2016/07/22/letter-to-friends-2-why-britain-voted-to-leave-and-what-to-do-about-it/)

ცვლადები, მათი განსაზღვრა და შემოწმება

ჩემი წარმოდგენილი ჰიპოთეზით რეფერენდუმის მსგავსი შედეგი განაპირობა ამომრჩველში არსებულმა ნაციონალისტურმა განწყობებმა, რომელიც განსაკუთრებითაა დამახასიათებელი დიდი ბრიტანეთისთვის განსხვავებით სხვა ევროპული ქვეყნებისგან.

დამოუკიდებელი ცვლადია ნაციონალიზმი, დამოკიდებული ცვლადი - ევროკავშირში დარჩენაზე უარის თქმა, ხოლო შუალედური ცვლადი, ის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება ნაციონალისტებისთვის: სუვერენიტეტის შეზღუდვა, მიგრანტთა კრიზისი...

გამოყენებული ტერმინების განმარტება:

რაც შეეხება მოცემული ცვლადების შემოწმებას, ანუ გამოთქმული ვარაუდის დადასტურებას, ან უარყოფას, ამისთვის ვაპირებ გამოვიკვლიო ყველა ის ფაქტორი რამაც გარკვეული გავლენა მაინც მოახდინა რეფერენდუმის ამგვარ შედეგზე. შევეცდები, მათი მნიშვნელობის შეფასებას რაც მომცემს საშუალებას გამოვყო ის მიზეზები, რაც აუცილებელი იყო და მხოლოდ დამხმარე როლი არ უთამაშია მოცემული შედეგის მისაღწევად. ასევე შევეცდები, გამოვიკვლიო ბრექსიტის შესაძლო შედეგები, რომელიც გარკვეულწილად პროგნოზირებადი იყო, რაც მეტად გაუსვამს ხაზს იმ მიზეზების მნიშვნელობას, რაც ამომრჩევლის გადწყვეტილების უკან იდგა.

ევროსკეპტიციზმი

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ბრექსიტი ეს არ არის კონტექსტიდან ამოვარდნილი ფაქტი, რომელიც მოულოდნელად მოხდა ყოველგვარი მიზეზის გარეშე. ის უფრო აისბერგის მწვერვალია და საკმაოდ ბევრ დაფარულ მიზეზს აერთიანებს, რაც ევროსკეპტიციზს უკავშირდება. დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში, მარტივად შეგვიძლია ვთქვათ, სკეპტიციზმი გამოიხატა იმ იდეის გაძლიერებაში, რომ ევროკავშირი რეალურად წარმოადგენდა ტვირთს დიდი ბრიტანეთისთვის და ეს უკანასკნელი გაცილებით მეტს გასცემდა, როგორც წევრი, ვიდრე იღებდა შემდეგში. რაც შეეხება მოცემული ცვლადების შემოწმებას, ანუ გამოთქმული ვარაუდის დადასტურებას ან უარყოფას, ამისთვის ვაპირებ გამოვიკვლიო ევროკავშირის პოზიცია სხვადასხვა საკვანძო საკითხების მიმართ, რაც მოიცავდა საიმიგრაციო პოლიტიკას - ნამდვილად იყო თუ არა ასეთი მიუღებელი ბრიტანელი

ამომრჩევლებისთვის და იყო თუ არა ეს მიუღებლობა განპირობებული ნაციონალისტური განწყობებით, ასევე შევეცდები შევაფასო, რამდენად იყო შესაძლებელი ამ მხრივ გარკვეული ცვლილებების მიღწევა ევროკავშირის დატოვების გარეშე. რაც შეეხება შედეგებს, აქ ძირითადად იმ რისკებზე მექნება საუბარი, რაც წარმოიშვა ბრექსიტის შედეგად, რითაც უფრო მეტად გაესმევა ხაზი როგორც მოცემული საკითხის მნიშვნელობას, ასევე იმას, რომ მიუხედავად წინასწარ გაცნობიერებული არა ერთი პრობლემისა, ადამიანებმა მაინც აირჩიეს რადიკალური ცვლილებები, რაც ერთი მხრივ არაბუნებრივიცაა და მეორე მხრივ საინტერესოც.

ევროსკეპტიციზმი, ბუნებრივია, არ არის მხოლოდ ბოლო წლების მიერ შექმნილი ან ჩამოყალიბებული ფენომენი , ის არსებობდა თავად ევროკავშირის იდეის შექმნის დღიდან და გამოიხატება ევროპის ქვეყნების ერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირად გარდაქმნის იდეის უარყოფაში,. ევროკავშირის ჩამოყალიბებისა და სხვადასხვა ქვეყნების ინტეგრაციის ეტაპზე ევროსკეპტიციზმი არ იყო იდეა, რომელსაც დიდი ყურადღება ექცეოდა. ეს საკითხი აქტუალური გახდა ეკონომიკური კრიზისისა და უკანასკნელი მიგრანტთა კრიზისის შემდგომ, რადგან ამ ორ უმნიშვნელოვანეს საკითხზე ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში მუდმივად განსხვავებლი პოზიციები ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ევროსკეპტიციზმი არ არის შეხედულება ,რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ დიდი ბრიტანეთისთვის , ის ასევეა გავრცელებული ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებში, თუმცა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში აღმოჩნდა ნიადაგი შესაფერისი მსგავსი რეფერენდუმისა და მისი შედეგის მისაღებად.

(https://pdfs.semanticscholar.org/9657/f6fc643cd060a7589e82f63821740d2791b4.pdf EUROSCEPTICISM IN THE EUROPEAN UNION)

ბრიტანეთი როგორც უხერხული პარტნიორი

აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთში, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სკეპტიციზმი ბევრად უფრო ძველია, ვიდრე მისი ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების თარიღი. მაგალითად, ბრიტანელი პოლიტიკოსი Hugh Gaitskell მიიჩნევდა, რომ ბრიტანეთი ევროკავშირის წევრობით კარგავდა ათასწლოვან ისტორიას დამოუკიდებელ ქვეყნად არსებობისა, თუმცა მიუხედავად ღია კონსენსუსის არარსებობისა, მათ შორის პოლიტიკურ ძალებში, დიდი ბრიტანეთი საბოლოოდ მაინც გახდა ევროკავშირის წევრი. ბრიტანეთი მუდმივად ცდილობდა ევროკავშირი გაეხადა იმ პოლიტიკური კურსის მატარებლად, რომელიც მას მიაჩნდა სწორად. ის მიიჩნევდა, რომ ევროკავშირი უნდა გაზრდილიყო და მიაღწია თავისას, როცა ევროკავშირში 6 პოსტსაბჭოთა ქვეყანა გაწევრიანდა. ბრიტანეთი ერთადერთი ქვეყანა იყო ევროკავშირში, რომელმაც შეინარჩუნა საკუთარი ეროვნული ვალუტა - გირვანქა სტერლინგი. ბუნებრივია, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს ყოველთვის განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ ზოგადად ევროკავშირთან მიმართებით მათი პოლიტიკური იდეოლოგიიდან გამომდინარე, მაგალითად , ულტრამემარჯვენე ბრიტანეთის ნაციონალური პარტია, რომელიც აქტიურად ითხოვდა რეფერენდუმს და შემდგომში უკვე ევროკავშირის დატოვებას. თუმცა ასევე არსებობენ მეტად კონსტრუქციული პარტიები, რომლებიც მართალია უარყოფითად არიან განწყობილნი ევროკავშირის სტრუქტურის , მისი საგარეო თუ ფინანსური პოლიტიკის მიმართ, თუმცა ამ პრობლემის გადაჭრას ევროკავშირის დატოვების გარეშე მიიჩნევდნენ სწორად.

სკეპტიციზმის მნიშვნელოვანი საზრდო ასევე არის მცდელობა, ბრიტანელები დისტანცირდნენ სხვა ევროპული ქვეყნებისგან. ისინი თავს ყოველთვის მიიჩნევდნენ მეზობლებისგან განსხვავებულად, ეს შეიძლება კუნძულის ტიპის სახელმწიფოს გამო შექმნილი ერთ-ერთი სტერეოტიპიც კი იყოს.

პროფესორი Stephen George თავის ცნობილ წიგნში, რომელიც 1990 წელს დაიბეჭდა, ბრიტანეთს მოიხსენიებს, როგორც უხერხულ პარტნიორს (An Awkward Partner) . ის ამტკიცებს, რომ ბრიტანეთმა ეს სტატუსი მიიღო იმ დღიდანვე, როცა გახდა ევროკავშირის წევრი, თუმცა ამ უხერხულობის ფესვები ბევრად ადრეულ პერიოდში უნდა ვეძიოთ. კერძოდ, 1950 -იან წლები, როცა იწყებოდა კიდეც ევროპის ინტეგრაციის პროცესი და სწორედ დიდი ბრიტანეთის მიერ მაშინ გამოჩენილი თავშეკავებული პოზიცია ამ ინტეგრაციის მიმართ, შეიძლება ჩაითვალოს ამ უხერხულობის აშკარა დადასტურებად. მისივე მტკიცებით ,დიდი ბრიტანეთის ამგვარ სტატუსს ამყარებს ბრიტანეთის კულტურის განსხვავებულობა კონტინენტურ ევროპასთან მიმართებაში, რაშიც რთულია მას არ დავეთანხმოთ. მაგალითად, ერთ-ერთ სტატიაში ისტორიკოსი Robert Conquest წერდა, რომ უკეთესი იქნებოდა დიდ ბიტანეთს ეზრუნა ახალი გაერთიანების შექმნაზე, რომელიც ინგლისურად მოლაპარაკე ერებს გააერთიანებდა საერთო ანგლოსფეროში. გარდა ამისა, რაც არ უნდა იყოს, დიდ ბრიტანეთს ყოველთვის ჰქონდა სხვებისგან განსხვავებული, სპეციალური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, შესაბამისად, ეს ყველაფერი საკმაოდ საინტერესო ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს. ჩემი აზრით, სწორედ ნაციონალიზმი გახდა ის, რამაც დიდი ბრიტანეთი გახადა უხერხული პარტნიორი ევროკავშირისთვის.

(http://alevelpolitics.com/is-the-uk-still-the-awkward-partner-in-europe/)

მიგრანტა კრიზისი და საიმიგრაციო პოლიტიკა

მიგრაციის პროცესი ერთერთი მაპროვოცირებელი მოვლენა იყო სკეპტიციზმის ზრდაში. არა ერთი სამიტი მიეძღვნა არალეგალური მიგრაციის პრობლემის აღმოფხვრას , ეს პრობლემა მალევე გასცდა უბრალოდ მიგრაციის ფარგლებს და მწვავე პოლიტიკურ კრიზისად გარდაიქმნა.



(https://en.wikipedia.org/wiki/European_migrant_crisis)

2015 წელს მიგრანტების რაოდენობამ , ესე იგი ადამიანების, რომლებიც თავშესაფარს ეძებდნენ, 1 მილიონს გადააჭარბა. 2011 წელს სირიის სამოქალაქო ომის დაწყებიდან დაახლოებით 4 მილიონი სირიელი გადაადგილდა საკუთარი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში უკეთესი ცხოვრების საძიებლად, დაახლოებით 7,6 მილიონის კი იძულებული გახდა

დაეტოვებინა საკუთარი სახლი და თავშესაფარი საკუთარივე ქვეყანაში ეძებნა. ერთი მხრივ ბაშარ ალ ასადი, ხოლო მეორე მხრივ ისლამური სახელმწიფოს შიში, ამ ქვეყანაში ცხოვრებას უკვე შეუძლებელს ხდიდა. ყოველ წელთან ერთად, რაც უფრო აგრესიული და სისხლისმსმელი ხდებოდა ომი სირიაში, მით უფრო იზრდებოდა ეს გადაადგილებებიც. თუმცა, კონფლიქტის დაწყებიდან 4 წლის შემდეგ, ადამიანებმა გააცნობიერეს, რომ ეს საკითხი ახლო მომავალში ნამდვილად ვერ მოგვარდებოდა, რაც კიდევ ერთი მიზეზია მათთვის, იფიქრონ სხვა ქვეყნებში სამუდამოდ გადასახლებაზე. მიგრანტების დიდი ნაწილი სწორედ სირიიდან იყვნენ და მათი უმეტესობა ევროპაში ზღვიდან ცდილობდა მოხვედრას, რაც რბილად რომ ვთქვათ, არც თუ ისე უსაფრთხო მარშუტია. მხოლოდ 2015 წელს 4000 -მდე ადამიანი შეეწირა ამ მცდელობას, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებს საკითხის პრობლემატურობაზე. ადამიანები რისკავენ ყველაფერს, მათ შორის საკუთარ სიცოცხლესაც, რათა შეძლონ უკეთეს სამყაროში მოხვედრა. ეს ასოციაციასაც კი იწვევს ფანტასტიკური ჟანრის ფილმების სიუჟეტთან, რომელშიც შორეულ მომავალში ადამიანები ერთი და იმავე გარემოში, ორ სხვადასხვა სამყაროში ცხოვრობენ და ერთნი მუდმივად ცდილობენ მეორე, უფრო მდიდარ, განვითარებულ, მაგრამ მხოლოდ ერთეულებისთვის განკუთვნილ სამყაროში მოხვედრას.

მიგრანტების კრიზისი პირდაპირ კავშირშია იმ პოლიტიკურ რყევებთან, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე შეიმჩნეოდა ევროკავშირის შიგნით. ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, უნგრეთი, სლოვაკეთი ღიად იბრძვიან ევროპულ სასამართლოში, რათა ხელი შეუშალონ ევროკავშირის გეგმებს მიგრანტების ევროკავშირის წევრ ქვეყნებში განაწილებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ევროკავშირი უარს ვერ იტყვის იმ პრინციპებზე, რაც, ასე ვთქვათ, არსებითია ამ ორგანიზაციისთვის, მაგალითად, ადამიანების თავისუფალ გადაადგილებაზე, ზედმეტი დაბრკოლებების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ზრდის მიგრაციის პროცენტს, ის იმ ინსპირაციის ნაწილია, რაც ევროკავშირის შექმნის იდეას ასაზრდოებდა, ამას ემატება ისიც, რომ როცა შენ ხარ მსოფლიოში ერთ- ერთი ყველაზე დიდი ეკონომიკური კავშირი, გაქვს ძალაუფლება და რესურსები, თვალს ვერ დახუჭავ მსფოლიოში მიმდინარე მოვლენებზე და ალბათ არც საკუთარ საზღვრებში ჩაკეტვაა დასაშვები. მიუხედავად

საკუთარი დისკომფორტისა, ევროკავშირს რაღაც ეტაპზე მაინც მოუწევდა იმ შედეგებთან გამკლავება, რასაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარი ცვლილებები იწვევს. გლობალიზაციის ეპოქაში ნებისმიერი ლოკალური კატასტროფა შეიძლება მთელს მსოფლიოზე გავრცელდეს და როგორც წესი, რაც უფრო დაგვიანებულია რეაქცია, რაც უფრო თავს არიდებს ესა თუ ის მხარე თვალი გაუსწოროს პრობლემას, მით უფრო მძიმეა ხოლმე შედეგიც. შესაბამისად, პროცესების გარკვეულ ეტაპზე სირიაში არსებული სიტუაციის მსგავს დონემდე მიყვანამ რეალურად შემდეგში შექმნა ყველა ის პრობლემა და კრიზისი, რასაც დღესდღეობით ებრძვის ევროკავშირი. ევროკავშირის ლიდერები დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ საერთო პოზიციის ჩამოყალიბებას, თუ რა იყო საუკეთესო გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან , თუ როგორ უნდა ემოქმედა ევროკავშირს.

რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, თავად ბრიტანელების ნაწილიც მიიჩნევს, რომ მათი პოლიტიკა მიგრანტების მიმართ ხშირად იყო არსს მოკლებული და მათ დიდი ხანია აქვთ შეუთავსებლობა ყველაფერ იმასთან, რაც ნაცნობად არ გამოიყურება, „ჩემი მთავრობა წინ წამოწევს კანონპროექტს, რომელიც ბრიტანეთის საიმიგრაციო კანონმდებლობის რეფორმირებას ითვალისწინებს. კანონპროექტით გათვალისწინებული იქნება იმ ადამიანების მოზიდვის აუცილებლობა,

ვინც ქვეყანას წაადგება, და არ დაუშვებს მათ, ვინც არ გამოგვადგება“ - განაცხადა დედოფალმა ელისაბედმა.

(https://www.independent.co.uk/voices/uk-immigration-british-people-racism-xenophobia-multiculturalism-a8540951.html)

1893 წელს დაბეჭდილი გაზეთი სახლეწოდებით “Rule Britannia” მიგრანტებს და უცხოელებს იხსენიებდა რელიგიის გარეშე მყოფ ამორალულ ადამიანებად, ნებისმიერი ბრიტანელი შვიდი ნებისმიერი მათგანის ფასად იყო შეფასებული. ამ ძველი და ერთი შეხედვით მივიწყებული დამოკიდებულების მაგალითია 1948 წელს კარიბის რეგიონიდან რამდენიმე ასეული ადამიანის ჩამოსვლა, რომელმაც საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის სხვა ეტაპზე 200000 პოლონელისთვის თავშესაფრის შეთავაზება საზოგადოებას რატომღაც ყურადღების მიღმა დარჩა.

2005 წლის არჩევნების დროს კონსერვატიული კამპანიის ერთ-ერთმა პოსტერმა ნათლად გამოკვეთა ის დამოკიდებულება, რაც შემდეგში ჩამოუყალიბდათ კიდეც ადამიანებს ‘it’s not racist to impose limits on immigration’. კამერონმა შეცდომა დაუშვა, როცა პირობა დადო იმის შესრულებაზე, რასაც ვერ შეძლებდა, თუნდაც ევროკავშირის მიერ არჩეული განსხვავებული გზის გამო, და ყოველ 6 თვეში მიგრაციასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სტატისტიკა ერთგვარ საჩუქრად იქცა დატოვების მომხრე კამპანიისთვის ,რადგან ის ნათლად ასახავდა მთავრობის მიერ განცდილ მარცხს. ახლა უკვე ევროკავშირის გარეშე მოუწევს დიდ ბრიტანეთს აწარმოოს დამოუკიდებელი საემიგრაციო პოლიტიკა, თუმცა დატოვების მომხრეთა შორისაც არის ორი ჯგუფი, რომლებიც საკმაოდ განსხვავებულად უყურებენ ამ საკითხს. ნაციონალისტებისთვის არაკონტროლირებადი მიგრაცია, მარტივად რომ ვთქვათ, უნდა აღიკვეთოს, რაც შეეხება ლიბერალებს, ისინი მიიჩნევენ, რომ თავისუფალი გადაადგილება ნივთების, პროდუქტის და მათ შორის ადამიანებისაც, სავსებით დასაშვებია.

http://jcpa.org/immigration-to-europe/the-immigration-crisis-in-europe/

“Leave” და “Stay” კამპანიები მათი გავლენა რეფერენდუმის შედეგებზე

ორივე კამპანიას ჰყავდა თავისი ლიდერები, ასევე ჰქონდათ თანაბარი დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან, რაც ერთი შეხედვით მათ თანაბარ პირობებში აყენებდა. ორივე კამპანია ცდილობდა სოციალური მედიის გამოყენებას, შეიქმნა მობილური პლატფორმისთვის სხვადასხვა აპლიკაციები, რომელთა მეშვეობით ადამიანებს შეეძლოთ რეგისტრაციის გავლა და მათი მეგობრებისა თუ ახლობების მოწვევა. დატოვების კამპანიის უმთავრესი ლოზუნგი იყო “Take Back Control”, მართალია ამ საკითხს ძირითადად საიმიგრაციო პოლიტიკასთან მიმართებაში განიხილავდნენ, მაგრამ მთავარი არგუმენტი ეხებოდა იმას, რომ გაერთიანებაში დიდ ბრიტანეთს არ აქვს საკმარისი ხმები იმისთვის, რომ ევროკავშირის რომელიმე გადაწყვეტილება დაბლოკოს. დატოვების მომხრეები ფიქრობენ, რომ ევროკავშირში დარჩენა სწორი გადაწყვეტილება იქნება მოსახლეობისთვის გარკვეული მიზეზების გამო. ერთ-ერთია ის, რომ ევროკავშირის წევრობით მას აქვს ერთიან ბაზარზე სრული წვდომა, მის გარეშე კი შესაძლოა რისკის ქვეშ აღმოჩნდეს ეკონომიკური კეთილდღეობა და არასტაბილური გახდეს, რასაც ცხოვრების სტანდარტის გაუარესება მოჰყვება. ევროკავშირი დიდი ბრიტანეთის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორია, რაც ევროკავშირში ექსპორტის მაღალი მაჩვენებლით მტკიცდება კიდეც, ამასთანავე, ნებისმიერი უცხოური ბაზრისთვის ევროკავშირი გაცილებით უფრო წონადი პარტნიორი, ან პარტნიორობის კანდიდატია, ვიდრე ბრიტანეთი. შესაბამისად, ჩემი აზრით, ევროკავშირს გაცილებით მეტის მოთხოვნა და მიღება შეუძლია იგივე სავაჭრო პირობებთან დაკავშირებით მოლაპარაკებებზე, ვიდრე დიდ ბრიტანეთს. ეს კი იმითაა განპირობებული, რომ სანაცვლოდ ამა თუ იმ პარტნიორს ევროკავშირმა შესაძლოა ბევრად მეტი შესთავაზოს, ვიდრე დიდმა ბრიტანეთმა.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ევროკავშირის დატოვებას დიდი გავლენა ექნება ბრიტანეთის ეკონომიკასა და მოსახლეობაზე. ევროკავშირში დარჩენის მომხრეთა კიდევ ერთი არგუმენტი არის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები. ევროკავშირის წევრობით ბრიტანეთს საშუალება აქვს მიიღოს

ინფორმაცია და აწარმოოს სხვადასხვა ანტიტერორისტული ღონისძიებები ევროკავშირის დანარჩენილ 27 ქვეყანასთან ერთად. ტერორიზმი კი, როგორც უკანასკნელი მოვლენები გვიჩვენებს, კვლავ რჩება 21-ე საუკუნის დაუმარცხებელ საფრთხედ. ისინი აქცენტს აკეთებდნენ იმაზე, რომ თუ ჩვენ გვსურს შევცვალოთ ევროკავშირი, შევცვალოთ მათი პოლიტიკა. ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ წევრობის დაკარგვის გარეშე, რადგან თუ ჩვენ არ გვექნება გავლენა, ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე, ჩვენ ვერ მოვახდენთ ცვილებებს. ის 27 ქვეყანა და, ზოგადად, ევროკავშირი კვლავ ჩვენი მეზობელი იქნება. პირიქით, მათ მიაჩნდათ, რომ წევრობის დათმობით დაკარგავდნენ იმ ბერკეტს, რაც მანამდე ჰქონდათ ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად. ბრექსიტის მომხრეთა აზრით კი, მნიშვნელოვანი გაერთიანებული სამეფოს სუვერენიტეტია, რომელსაც ევროკავშირი საკუთარი კონტროლის მექანიზმების ზრდის წყალობით ნელ-ნელა ზღუდავს. ევროკავშირის დატოვების შემთხვევაში კი ბრიტანეთი როგორც იქნა თავს დააღწევს ამ მარყუჟებს. ბრექსიტის მოწინააღმდეგეები უპირისპირდებიან ამ ყველაფერს, რადგან მიიჩნევდნენ, რომ თუ ევროკავშირი გადაწყვეტს მიიღოს კანონი, რომელიც ცუდი იქნება დიდი ბრიტანეთისთვის, ისინი ამას ხელს ვერ შეუშლიან, რადგან არ ექნებათ არანაირი გავლენა ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ადამიენბმა, რომლებმაც ხმა მისცეს ევროკავშირის დატოვებას, თვლიდნენ , რომ კარგავდნენ საკუთარ ფუნდამენტურ უფლებებს, მაგალითად, იმას, რასაც ამბობდა აბრაამ ლინკოლნი “government of the people, by the people, for the people”. ევროკავშირის დატოვების მომხრეების დამოკიდებულება რამდენიმე არგუმენტს ეფუძნება:იმიგრაცია, ფასი,რომელსაც ბრიტანეთი იხდის მისი წევრობისთის და მისი სუვერენიტეტის საკითხი.

ამ ყველა მიზეზიდან კი მთავარი სწორედ ის იყო რომ , ევროკავშირში ყოფნით ბრიტანეთი კარგავდა სუვერენიტეტს, ასეთი შეხედულება, ჩემი აზრით, პირდაპირ შეიძლება მივაწეროთ ნაციონალიზმს, რადგან სწორედ ნაციონალისტებისთვის შეიძლება იყოს სუვერენიტეტი ის ერთადერთი ფასეულობა,

რისი დაკარგვაც არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება. სუვერენიტეტის დაკარგვის ერთ-ერთ მაგალითი კი ამომრჩევლისთვის იყო ის მოცემულობაა, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ კანონები, რომელიც შესაძლოა სულაც არ იყოს დიდი ბრიტანეთისთვის მისაღები, მისი წინააღმდეგობის მიუხედავად .

მიუხედავად იმისა, რომ დარჩენის კამპანიის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილი სწორედ ეკონომიკური ბენეფიტები იყო, დიდი ბრიტანეთის სავალდებულო შემოსატანი ევროკავშირის საერთო ბიუჯეტში ადამიანებისთვის ამ საკითხსაც საკმაოდ ბუნდოვანს ხდიდა. ამომრჩევლის ნაწილისთვის სრულიად გაუგებარი იყო, რატომ უნდა დაეხარჯა დიდ ბრიტანეთს სხვა წევრებთან შედარებით გაცილებით მეტი საერთო ხარჯებზე, მაშინ როცა მას შეეძლო ამ თანხების საკუთარი კეთილდღეობისთვის გამოყენება.

ევროკავშირში დარჩენის მომხრეები ძირითად აქცენტს ეკონომიკურ საფრთხეებსა და რისკებზე აკეთებდნენ, რომლებიც, მათი აზრით, აუცილებლად იჩენდა თავს ევროკავშირის დატოვების შემთხვევაში. საწყის ეტაპზე დარჩენის კამპანიას ჰქონდა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი უპირატესობა. საქმე იმაშია, რომ დარჩენის მოწოდებით ისინი მოუწოდებდნენ ადამიანებს შეენარჩუნებინათ სტატუს ქვო, რაც შეეხება დატოვების კამპანიას, ისინი სხვა არაფერს სთავაზობდნენ ამომრჩეველს, თუ არა რადიკალურ ცვლილებას. არათუ თანაბარ პირობებში, არამედ მნიშვნელოვანი უპირატესობის ქონის შემთხვევაშიც კი, ადამიანები მაინც ერიდებიან ხოლმე რადიკალური გადაწყვეტილების მიღებას, რადგან მოცემული სტატუს ქვო, რაც არ უნდა მიუღებელი იყოს, აღარ შეიცავს დამატებით რისკებს, ხოლო რადიკალური ცვლილება კი ყოველთვის რისკის მატარებელია. ამასთანავე დარჩენის კამპანიას ჰქონდა არა მხოლოდ ჯეიმს კამერონის, ასევე პოლიტიკური პარტიებისა და საერთაშორისო მხარდაჭერა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით დატოვების კამპანიაზე. მიუხედავად ამ უპირატესობებისა, დატოვების კამპანია მხოლოდ ერთი მიზეზის გამო იყო უფრო წარმატებული -ის უკეთ ასახიერებდა და უმიზნებდა იმ გამოწვევებსა და სურვილებს, რაც ამოძრავებდათ ადამიანებს, უკეთ ერგებოდა იმ განწყობას რაც

ჰქოდნათ ადამიანებს , ნაციონალიზმიდან გამომდინარე დატოვების კამპანიის არგუმენტები, მიუხედავად იმისა რამდენად რეალურები იყო ისინი გაცილებით უფრო მარტივად დასაჯერებელი აღმოჩნდა ამომრჩევლისთვის.

ბუნებრივია, გარდა ფაქტობრივი უპირატესობებისა, არსებობდა ფსიქოლოგიური უპირატესობებიც. ერთი ასეთი უპირატესობა, რაც ჰქონდა დატოვების კამპანიას, იყო შემდეგი: ზოგადად, ხმის მისაცემად უფრო დიდი შანსია მივიდეს ადამიანი, რომელსაც სურს ცვლილებები და არა ის, რომელსაც სტატუს ქვოს შენარჩუნება უნდა. ამასთანავე, რეფერენდუმამდე არსებული გამოკითხვებით გამარჯვება უნდა დარჩენოდა დარჩენის მომხრეებს, რაც კიდევ ერთი მიზეზი იყო დარჩენის მომხრეებისთვის დარჩენილიყვნენ სახლებში, რადგან დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათთვის სასურველი შედეგი მათ გარეშეც დადგებოდა.

(http://www.referendumanalysis.eu/eu-referendum-analysis-2016/section-8-voters/campaign-frames-in-the-brexit-referendum/)

(http://www.referendumanalysis.eu/eu-referendum-analysis-2016/section-7-social-media/leave-versus-remain-the-digital-battle/)

(http://www.referendumanalysis.eu/eu-referendum-analysis-2016/section-2-politics/the-referendum-campaign-and-the-publics-constitutional-understanding/)

შედეგები, ირლანდიის საზღვრის საკითხი და შოტლანდიის ახალი რეფერენდუმი

ბრექსიტის შემდგომ ერთადერთი ძირითადი მიზანი, რაც შეიძლება ევროკავშირს ჰქონდეს, ეს არის საკუთარი ერთიანობის შენარჩუნება დანარჩენ 27 ქვეყანას შორის, უფრო მეტი პოლიტიკური ინტეგრაცია და უფრო ახლო გაერთიანებად გარდაქმნის იდეა. შესაბამისად, ბრექსიტმა შეიძლება მიგვიყვანოს, როგორც უფრო სტაბილურ და მყარ ევროკავშირამდე, ასევე ევროკავშირამდე, რომელიც ვეღარ შეძლებს საკუთარი

ერთიანობის დაცვას, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში წარსული ნდობისა და კავშირების აღდგენა დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის მაინც რთული იქნება ,მიუხედავავ იმისა, თუ როგორ სახეს მიიღებს ბრექსიტი. ცნობილია, რომ ბრიტანეთის მთავრობამ შეიმუშავა ევროკავშირიდან გასვლის პირობებზე ე.წ. Brexsit-ის რბილი ვერსია. მისი ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს საქონლისათვის თავისუფალი ვაჭრობის ზონის შენარჩუნებას. დიდმა ბრიტანეთმა და ევროკავშირმა უნდა შეინარჩუნონ ამ სფეროში საერთო წესები და საქონლით ვაჭრობის პროცესი არ შეფერხდება. მათი აზრით, ეს დაიცავს მრავალწლიან სავაჭრო კავშირებს და სამუშაო ადგილებს. მეორე არის გამარტივებული საბაჟო წესრიგის შენარჩუნება, რაც ევროკავშირსა და ბრიტანეთს შორის კონტროლის არარსებობას გულისხმობს - ისეთს, როგორიც ერთიან საბაჟო ტერიტორიაზე იმოქმედებდა. მესამე საკითხი გულისხმობს იმას, რომ შენარჩუნებული იყოს ევროკავშირისა და ბრიტანეთის მოქალაქეთა უფლებები, ერთმანეთის ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად მოგზაურობის, სწავლისა და მუშაობის. ამ ძირითადი საკითხების პრაქტიკაში რეალიზების შემთხვევაში კი წარმატებით გადაწყდება ყველაზე რთული პუნქტი - ირლანდიის საზღვრის პრობლემა.

მნიშვნელოვანია რომ ამ ორმა რეგიონმა , ჩრდილოეთ ირლანდიამ და შოტლანდიამ ბრექსიტს მხარი არ დაუჭირეს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ვარაუდს, რომ სწორედ ბრიტანული ნაციონალიზმის გაღვივებამ განაპირობა კიდეც, დიდი ბრიტანეთის მასშტაბით, რეფერენდუმის ამგვარი შედეგი, ხოლო იმ რეგიონებში, სადაც ამომრჩეველზე ბრიტანული ნაციონალიზმი ვერანაირად ვერ იმოქმედებდა, სრულიად საპირისპირო შედეგი დადგა.

დღესდღეისობით ჩრდილოეთ ირლანდიასა და ირლანდიის რესპუბლიკას შორის საზღვარი, მარტივად რომ ვთქვათ, ფაქტობრივად არ არსებობს, რადგან ამ “საზღვარზე” არც ადამიანების და არც ტვირთების შემოწმება არ ხდება, შესაბამისად, არც ისეთ ინფრასტრუქტურა არსებობს, რაც შეიძლება ორ ქვეყანას ერთმანეთთან ჰქონდეს, მიუხედავად იმისა, რაოდენ თბილი ან კარგი ურთიერთობაც არ უნდა ჰქონდეთ,

ამგვარი საზღვრის არსებობა განპირობებულია იმით, რომ დიდი ბრიტანეთი და ირლანდია იმყოფებიან ერთი და იმავე სამოგზაურო არეალში - პასპორტის გარეშე გადაადგილების ზონაში. ასევე ისინი არიან ევროკავშირის ერთიანი ბაზრის წევრები, შესაბამისად, არანაირი შეზღუდვა ან დამატებითი ტარიფები ტვირთებზე იქ არ ვრცელდება. ლიდერები, როგორც ლონდონიდან, ასევე ბელფასტიდან და დუბლინიდან, აუცილებლად ეცდებიან მყარი საზღვრისგან თავის არიდებას. მოლაპარაკებისას ევროკავშირმა შესთავაზა დიდ ბრიტანეთს ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორიის, გარდა ტერიტორიული წყლებისა, მათი გაერთიანების ზონაში მოქცევა, რაც ერთი მხრივ გააუქმებს ჩრდილოეთ და დანარჩენ ირლანდიას შორის საზღვრის არსებობის საკითხს, თუმცა ასევე წარმოქმნის ახალი საზღვრის გაკეთების აუცილებლობას ჩრდილოეთ ირლანდიასა და დანარჩენ ბრიტანეთს შორის, რაც ნამდვილად არ არის იდეალური გამოსავალი დიდი ბრიტანეთისთვის. ასევე ფიქრობს ტერეზა მეიც, მან ღიად განაცხადა, რომ ამგვარი გამოსავალი ზუსტად ისევეა მიუღებელი მათთვის, როგორც მყარი საზღვრის არსებობა. მყარი საზღვრის შესახებ გადაწყვეტილებამ შეიძლება ძალიან დიდი საფრთხე შეუქმნას 1998 წელს მიღებულ the Good Friday Agreement peace deal-ს, იგივე ბელფასტის შეთანხმებას, რომლის მისაღწევად წარსულში არსებული კონფლიქტის ყველა მხარეს საკმაოდ დიდი ფასი აქვს გადახდილი. დაახლოებით 4000 -მდე ადამიანი შეეწირა კონფლიქტს ჩრდილოეთ ირლანდიაში, მიუხედავად იმისა, რომ სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერისა და კონფლიქტის დასრულებიდან საკმაოდ დიდი დროა გასული, ქმედებას ყოველთვის მოსდევს უკუქმედებაც, შესაბამისად, ამ კონფლიქტის ხასიათიდან გამომდინარე, ბრექსიტმა და მყარი საზღვრის იდეამ შეიძლება კვლავ გააღვივოს ის ძალადობა, რაც ხდებოდა 1970-80- იან წლებში, ერთიანი ირლანდიის იდეა, ოღონდ ამჯერად ევროკავშირის შემადგენლობაში, ნამდვილად არ იქნება მშვიდობის მომტანი.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ეხება შოტლანდიას, აღსანიშნავია, რომ რეფერენდუმში მონაწილე ყველა ტერიტორიულ ერთეულში, რომელიც შოტლანდიას მიეკუთვნებოდა, შედეგი იყო ერთნაირი - ყველა მათგანმა ხმა მისცა დარჩენას, ეს ფაქტი, ბუნებრივია, ბევრი რამის ვარაუდის საშუალებას გვაძლევ, მათ

შორის იმ მიზეზებზე, რაც საფუძვლად დაედო იგივე მოსახლეობის მიერ დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენას და გარკვეულწილად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ბრექსიტის შემთხვევაში 2014 წლის რეფერენდუმი შესაძლოა სრულიად საპირისპირო შედეგითაც კი დასრულებულიყო. შოტლანდიის პირველმა მინისტრმა Nicola Sturgeon - მა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ შოტლანდიის ინტერესები სრულად ვერ იქნება დაცული დიდი ბრიტანეთის კონტექსტსში, მაშინ დამოუკიდებლობა შეიძლება ერთ-ერთი განხილვადი საკითხი გახდეს. შოტლანდიის ხელისუფლებამ კი გამოაქვეყნა ინიციატივა (draft Bill) მეორე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, რომელიც უნდა მოეწყოს 2014 წლის რეფერენდუმის მსგავსად, თუმცა არც პირველ მინისტრს და არც შოტლანდიის პარლამენტს არ აქვთ უფლება დანიშნონ ახალი რეფერენდუმი, მიუხედავად მისი დაანონსებისა, როგორც ერთი ისე მეორე მხრიდან, მათ შეუძლიათ არაოფიციალური რეფერენდუმის ჩატარება, მაგალითად, როგორიც ჩაატარა კატალონიამ 2014 წელს, თუმცა ნებისმიერ ოფიციალურ რეფერენდუმს დასჭირდება თანხმობა პირდაპირ Westminster-სგან. თავად Nicola Sturgeon- მაც დაადასტურა, რომ მსგავსი სცენარის განხილვა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება რომ ერთი მხრივ ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი ინტერესების დაცვას დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში, ხოლო მეორე პირობა იქნება იმის დადასტურება ,რომ 2014 წელთან შედარებით ადამიანებმა შეიცვალეს აზრი და ამჯერად საზოგადოებრივი აზრი სულ სხვა რამისკენ იხრება, თუმცა ბოლოდროინდელი კვლევები რაიმე მსგავსს არ ადასტურებს, რაც თავის მხრივ დამაიმედებელი შეიძლება იყოს დიდი ბრიტანეთისთვის. შესაბამისად, მივიღეთ რეალობა, როცა მიუხედავად რეფერენდუმის უპერსპექტივობისა, ის მაინც დაანონსდა, მიზეზი ამის შეიძლება იყოს ძალიან მარტივი, ამ ყველაფრით იზრდება ზეწოლა დიდ ბრიტანეთზე, რათა ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვნად გაითვალისწინოს შოტლანდიის ინტერესები იმ მოლაპარაკებებში, რომელიც იმართება და გაიმართება ბრექსიტთან და მის ფორმებთან დაკავშირებით, რადგან, როგორც არაერთხელ ავღნიშნეთ, ეს პროცესი ნამდვილად არ არის მარტივი და ბევრ კომპლექსურ ნიუანსს მოიცავს .

მარტივად რომ ვთქვათ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს რეფერენდუმი არც არასდროს არ ჩატარდება, დიდ ბრიტანეთს მაინც მოუწევს გარკვეული ფასის გადახდა, რაც თუნდაც უკვე გადაიხადა 2014 წლის რეფერენდუმამდე. დიდი ბრიტანეთის მიერ შოტლანდიის შეჩერებისთვის გადადგმული ნაბიჯები, გამოიხატა მისთვის მინიჭებული მნიშვნელოვანი პრივილეგიებით ფინანსურ, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ადმინისტრაციულ სფეროებში. აღსანიშნავია, რომ ბრექსიტის შემთხვევაში მსგავსს შემოთავაზებებს ადგილი არ ჰქონია, რაც საკმაოდ საინტერესოა, რადგან წესით ორგანიზაციას, რომელსაც სურს საკუთარი წევრის შენარჩუნება, არ იცავს ნეიტრალიტეტს და არ ელოდება შედეგებს, არამედ ცდილობს შედეგებზე საკუთარი გავლენის მოხდენას. ჩემი აზრით, დიდ ბრიტანეთს კვლავ მოუწევს გარკვეულ დათმობებზე წასვლა, რათა შოტლანდიის წარმომადგენლები და მოსახლეობა დაარწმუნოს, რომ მათი ინტერესები ისევე იქნება დაცული ევროკავშირის გარეთ, როგორც მის შემადგენლობაში იყო.

ნებისმიერ შემთხვევაში, ევროკავშირს მაინც მოუწევს ამ ფაქტიდან გარკვეული დასკვნების გამოტანა და გარკვეული მიზნების დანახვა. ევროკავშირმა უნდა იზრუნოს საკთარ მოქალაქეებში ნდობის აღდგენასა და საკუთარი თავის, როგორც ორგანიზაციის განვითარებაზე, სხვა შემთხვევაში, ბრექსიტი შეიძლება მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდეს, როგორც დომინოს ქვების რიგს ემართებათ ხოლმე, როცა ერთე-რთი მათგანი იქცევა და ჯაჭვურ რეაქციას იწვევს. ევროკავშირმა უნდა იზრუნოს საკუთარი ღირებულებების, გადაწყვეტილებების ახსნაზე უბრალო ადამიანებისთვის, მოქალაქეებისთვის, რომლებიც, როგორც ბრექსიტმა გვაჩვენა, გადამწყვეტ მომენტში გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობენ და მიუხედავად პოლიტიკური ელიტის გეგმებისა, შედეგი შეიძლება სრულიად საპირისპირო აღმოჩნდეს, თუ ადამიანები კარგავენ რწმენას ორგანიზაციის გეგმებსა და პრინციპებში.

(https://www.telegraph.co.uk/news/0/how-would-brexit-affect-northern-ireland-and-scotland/)

(https://www.bbc.com/news/uk-northern-ireland-politics-44615404)

პოლიტიკოსების როლი

1988 წელს ბრიტანული პოლიტიკა მოულოდნელად შეიცვალა, მანამდე პროევროპული ტეტჩერი ევროსკეპტიკური განწყობებით განიმსჭვალა, რაც კარგად გამოჩნდა მის "Bruges speech"- ში, როგორც აღმოჩნდა, ყველასთვის სასურველი ერთიანი სავაჭრო ბაზრიდან ღრმა პოლიტიკური ინტეგრაცია არც ისე შორს იყო და ეს ბრიტანეთის სუვერენიტეტს სულ უფრო დაასუსტებდა, ხოლო ბრიუსელს აუცილებლად აქცევდა დომინანტად.

1980- იანი წლების ოქსფორდიდან წამოსულმა პოლიტიკოსებმა შეავსეს როგორც დატოვების, ისე დარჩენის კამპანიის რიგები, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ბრექსიტს, სწავლობდნენ იმ პროფესიებს, რომლებიც წარსულში ყურებისკენაა მიდრეკილი, მაგალითად, ისტორია, ფილოსოფია, ხოლო პოლიტიკოსები, რომლებიც ემხრობოდნენ ევროკავშირში დარჩენას, ძირითადად იმ პროფესიის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც მიზნად თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობას ისახავენ, მაგალითად, ბიზნესი .

ბრექსიტი დაგეგმილი იყო, როგორც სწრაფი და სწორი შედეგის მომტანი რეფერენდუმი, თუმცა დევიდ კამერონის განახლებულმა მოლაპარაკებებმა ევროკავშირთან სულ უფრო დაარწმუნა ამომრჩევლები, ხმა მიეცათ დატოვებისთვის. ნათლად გამოჩნდა ევროკავშირის ხისტი პოზიცია, ადამიანის თავისუფალი გადაადგილების პრინციპთან დაკავშირებით. შესაბამისად, რადგან ეს მოლაპარაკებები წარმატების მაგივრად მარცხად იქცა, დარჩენის კამპანიას სხვა გამოსავალი აღარ დარჩა, გარდა ერთი და იმავე გზავნილების გამეორებისა, რომ ევროკავშირის გარეშე დიდ ბრიტანეთს ეკონომიკური მომავალი არ აქვს. ხოლო ეს ეკონომიკური მიდგომა არ წარმოადგენდა მრავალგანზომილებიან საკითხს, ისეთს, როგორებიც იყო მაგალითად, მიგრაციის პოლიტიკის ან დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის, რაზეც აპელირებდნენ კიდეც დატოვების კამპანიის მხრიდან . სწორედ ამ

კრიტიკულმა განსხვავებამ განაპირობა დარჩენის კამპანიის უუანრობა - მიეღწია ადამიანების გონებამდე და შეეცვალა ის, თუ როგორ აღიქვამდნენ ეს უკანასკნელნი მათ გარშემო მიმდინარე მოვლენებს.

საინტერესოა, რატომ უნდა დაენიშნა რეფერენდუმი პოლიტიკოსს, რომელიც თავად წინააღმდეგი იყო, მაშინ როცა რისკები ამ რეფერენდუმის წაგების საკმაოდ დიდი იყო. თუ გაიხსენებთ ,1975 წლის რეფერენდუმის დაანონსების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ახალი შეთანხმების მიღწევა და ევროკავშირის სხვა წევრებზე ბერკეტის გაჩენის შესაძლებლობა. მაშინდელმა მთავრობამ წარმატებით შეძლო მოლაპარაკებები და მისი შედეგები, რომელიც მეტწილად კოსმეტიკური იყო, აქცია დიდ წარმატებად, რამაც არსებითი როლი ითამაშა რეფერენდუმის შედეგში.

კამერონს შეეძლო ესარგებლა იმ შესაძლებლობით, რასაც მას სთავაზობდა გამოკითხვები, რომელთა მიხედვითაც გაცილებით მეტი ადამიანი ირჩევდა ევროკავშირში დარჩენას, თუ ეს იქნებოდა უკვე რეფორმირებული ევროკავშირი. ამის საპირისპიროდ კამერონმა არათუ არ გამოიყენა ეს შესაძლებობა და ვერ მიიღო ევროკავშირისგან რაიმე სახის დათმობა, არამედ, პირიქით, გაუმყარა ამომრჩეველს იმის რწმენა, რომ ცვლილებები, სანამ ისინი არიან ევროკავშირის წევრი, უბრალოდ შეუძლებელია.

იმისთვის ,რომ უკეთ დავინახოთ მიზეზ -შედეგობრივი კავშირი, ჩემ მიერ წარმოდგენილ საფუძვლებსა და რეფერენდუმის შედეგებს შორის, საჭიროდ მივიჩნევ, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული აზრის გაბათილებას, რომლის მიხედვითაც, დარჩენის კამპანია მხოლოდ იმიტომ იყო წარუმატებელი, რომ მათ მიერ წარმოდგენილი თეზისის, კერძოდ, ეკონომიკური კრახის, უბრალოდ არავის არ სჯეროდა. ამისთვის გამოვიყენებ უელსის მაგალითს, მიუხედავად ამ რეგიონის მიერ მიღებული აშკარა ბენეფიტებისა, ევროკავშირის დაფინანსების მიუხედავად მისმა მაცხოვრებლებმა მაინც გადაწყვიტეს ხმა მიეცათ ევროკავშირის დატოვებისთვის, ანუ, რომ წარმოვიდგინოთ, მიუხედავად დასაბუთებული კამპანიისა, რომელიც ძირითად აქცენტებს ეკონომიკაზე აკეთებდა, ასევე აშკარა სარგებლის დაკარგვისა, რომელსაც ეს კონკრეტული ამომრჩეველი პირდაპირ გრძნობდა საკუთარ თავზე, მაინც დატოვება

არჩიეს. ეს ყველაფერი კი აშკარად ეწინააღმდეგებოდა მათ სოციალურ ინტერესებს, სამაგიეროდ, პირდაპირ უკავშირდებოდა მათ, ასევე დანარჩენი ბრიტანეთის, ნაციონალისტურ განწყობებს. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანებმა გვერდით გადადეს ეკონომიკური ბენეფიტები და, მათი აზრით, რაღაც უფრო მნიშვნელოვნის მიღწევას შეეცადნენ, რაც შემდგომში გარანტი უნდა გამხდარიყო ეკონომიკური კეთილდღეობისა, ეს მიზანი კი სუვერენიტეტის გაძლიერება იყო.

აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, სწორად ვიქცევით, როცა რეფერენდუმის შედეგების მიზეზებს არამხოლოდ უელსში, არამედ მთელ დიდ ბრიტანეთში არ ვეძებთ მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორში, არამედ ნაციონალიზმში და მეტი სუვერენიტეტის მიღების სურვლში, რაც ევროკავშირის ფარგლებში ადამიანებს უტოპიად ესახებოდათ, რეალურად ადამიანები ხმას აძლევდნენ ცვლილებებს, პირველ რიგში მომავლის შიშის გამო და ასევე იმედის, რომ რაღაც უკეთესობისკენ შეიცვლება. სწორედ ამიტომ ხსნის ნაციონალიზმი ამ ყველაფერს ყველაზე კარგად, რადგან მოიცავს საწყისს ყველა იმ პრობლემის, რომელიც რეალურად ამომრჩეველს აწუხებდა. ისევე როგორც მედიამ, პოლიტიკოსებმა და ევროკავშირმა თავისი პოზიციებით ამომრჩეველს ერთი მხრივ ვერ გაუჩინეს შიში ცუდი ეკონომიკური მომავლის, ამის საპირისპიროდ, მათ ნამდვილად გაუჩნდათ შიში სუვერენიტეტის დაკარგვის, ცუდი საიმიგრაციო პოლიტიკის, ხოლო იმედი, რომ რაღაც შეიცვლებოდა, უკვე მხოლოდ ევროკავშირის დატოვებასთან იყო მიჯაჭვული.



(https://www.referendumanalysis.eu/eu-referendum-analysis-2016/section-8-voters/campaign-frames-in-the-brexit-referendum/)

მოცემული გრაფიკი ნათლად გვანახვებს, რომ ბრექსიტი, ეს არ იყო რეფერენდუმი, რომლის შედეგები განაპირობა მხოლოდ ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ბრიტანელები, მართალია, ითვალისწინებდნენ იმ დანაკლის, რაც შეიძლება საკუთარ საფულეში აღმოეჩინათ, თუმცა ეს გადამწყვეტი არ აღმოჩნდა, მთავარი, ამ გრაფიკის მიხედვით, მაინც დამოუკიდებლობა იყო, რაც ნაციონალიზმის იდეიდან გამომდინარეობდა. ამ შემთხვევაში სუვერენიტეტი საწყისი უნდა გამხდარიყო, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური, ისე საიმიგრაციო პოლიტიკის, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ფაქტორები არავისთვის იყო უმნიშვნელო, ისინი ამ საკითხის მოგვარებას სწორედ დამოუკიდებელ საიმიგრაციო და ეკონომიკურ პოლიტიკაში ხედავდნენ. კამერონის გადადგომის შემდეგ, მისი პოსტი ტერეზა მეიმ დაიკავა და საკუთარ კაბინეტში ყველა საკვანძო თანამდებობა ბრექსიტელებს დაუთმო, რათა მათ ბრექსიტის გეგმაზე ემუშავათ, თუმცა აღმოჩნდა, რომ ისინი იყვნენ პოლიტიკოსები, ვისაც დებატების წარმოება და ადამიანების დარწმუნება შეეძლოთ, მიუხედავად იმისა, რამდენად ბევრი იცოდნენ არსებულ საკითხზე და რამდენად კომფორტული იყო მათთვის არსებული გარემო, რეალურად მათ ვერ შეძლეს შეექმათ გეგმა, მიმართულება, რათა განეხორციელებინათ ბრექსიტი. გეგმის საჭიროება გამომდინარეობდა იქიდან, რომ დატოვების პროცესის მკაცრი დაგეგმარებისა და კონტროლის გარეშე, შეიძლება ბევრად მძიმე გადასატანი აღმოჩნდეს დიდი ბრიტანეთისა და მისი ინტერესებისთვის. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა, ეს ქვეყანა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იყო ევროკავშირის წევრი და მოულოდნელად არსებული კავშირების გაწყვეტა საკმაოდ რთულია, იმის გამო, რომ ევროკავშირთან მოლაპარაკებები ეყრდნობოდა წესებს და წესების გარეშე მოლაპარაკება შეუძლებელი იყო, ტერეზა მეის მიერ შერჩეულმა პოლიტიკოსებმა ვერ შეძლეს დიდი ბრიტანეთისთვის ბრექსიტის სასურველი სცენარის დაწერა, რომელიც ამ ქვეყანას ამ პროცესიდან ნაკლებად წაგებულს გამოიყვანდა. თუმცა საკითხავია, საერთოდ იყო კი ეს შესაძლებელი?

მედიის როლი

რაც შეეხება მედიის როლს, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა, რაც საჭიროა მყარი დემოკრატიის არსებობისთვის, ეს არის ჯანსაღი, თავისუფალი და პლურალისტული მედია, სხვა შემთხვევაში ადამიანები უბრალოდ მოტყუებულნი დარჩებიან და მიიღებენ არასწორ გადაწყვეტილებებს, რაც ისევ დემოკრატიას დააზარალებს.

კვლევები აჩვენებს, რომ წინასარეფერენდუმო პერიოდში გამოქვეყნებულ სტატიებს შორის , დარჩენისა და დატოვების მომხრეთა შორის პროპორცია დაახლოებით 60-40-ზე იყო დატოვების უპირატესობით, თუმცა, თუ შევადარებთ ამ სტატიების გაყიდვებს, აღმოვაჩენთ, რომ უპირატესობა, რომელიც ჰქონდა დატოვების კამპანიის მომხრე გაზეთებს, იყო დაახლოებით 80-20- ზე. ეს ნათლად გვიმტკიცებს იმას, რომ მედიას რეფერენდუმის შედეგების მიღწევაში მთავარი ან გადამწყვეტი როლი ამ ეტაპზე მაინც არ უთამაშია, თუმცა მათ გარეშე ამ შედეგის დადგომა ალბათ შეუძლებელი იქნებოდა. დარჩენის კამპანიის ლიდერები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ეკონომიკური საფრთხეების წარმოჩენა მოიტანდა ისეთივე დადებით შედეგს, როგორც ეს მოხდა შოტლანდიის რეფერენდუმის დროს, თუმცა მათ ალბათ ვერ გაითვალისწინეს, რომ ხშირ შემთხვევაში, მედიაში გავრცელებული ცნობები, მიუხედავად მათი არც თუ ისე სანდობისა, თუნდაც მათი ქსენოფობიური ან რასისტული ხასიათის მიუხედავად, მაინც ახდენენ გავლენას იმ ადამიანებზე, რომლებმაც თუნდაც პირველ გვერდზე დიდი შრიფტით დაწერილი სათაური წაიკითხეს, რადგან ასეთი ინფორმაცია ხშირად უფრო სასურველი ან მიმზიდველია. ყველა ადამიანი, ბუნებრივია, სუბიექტურია საკუთარ აღქმაში, და ფაქტებსაც სხვადასხვაგვარად აღიქვამს, შესაბამისად, ინფორმაცია, რასაც დატოვების მომხრე სტატიები ან გადაცემები ავრცელებდნენ, ბევრად უფრო ახლო და მისაღები იყო ნაციონალისტურად განწყობილი ამომრჩევლისთვის. ამასთანავე, განსხვავებით შოტლანდიის რეფერენდუმისგან, ამ შემთხვევაში ბრიტანელებს არ ჰქონიათ მყარი არგუმენტები, ეს პროცესი ეკონომიკურად წამგებიანი იქნებოდა დიდი

ბრიტანეთისთვის თუ არა, რადგან ამის შესახებ რამდენიმე სხვადასხვა პოზიცია არსებობდა. ამასთანავე, შოტლანდიის რეფერენდუმის დროს ევროკავშირის თავშეკავებულმა პოზიციამ, რომ ისინი ვერ აქცევდნენ შოტლანდიას ავტომატურად მათ წევრად, გამოყოფის შემთხვევაში გაცილებით მეტი ფასი დაადო დიდი ბრიტანეთის მიერ შეთავაზებულ დათმობებს, რამაც მოსახლეობას უბიძგა იმ გადაწყვეტილებამდე, რითიც დასრულდა 2014 წლის რეფერენდუმი. მიუხედავად იმისა, რომ წინასარეფერენდუმო პერიოდში მედიის ძირითადი განსახილველი თემა მიგრაციის პოლიტიკისა და ეკონომიკის გარდა სწორედ კამპანიები და მათი პროგრამები იყო, ადამიანები მაინც საკუთარი გემოვნების მიხედვით ანიჭებდნენ უპირატესობას, თუ რისთვის უნდა მოესმინათ, ან რა წაეკითხათ, რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა კიდეც რეფერენდუმის შედეგამდე.



(https://www.referendumanalysis.eu/eu-referendum-analysis-2016/section-3-news/the-narrow-agenda-how-the-news-media-covered-the-referendum/- EU referendum)

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ბრექსიტმა ხაზი გაუსვა, არის ნაციონალიზმის ექტრემიზმში არევის შემთხვევა, რაც არ არის მხოლოდ დიდი ბრიტანეთის პრობლემა. კონკრეტულად ინგლისის შემთხვევაში, დატოვების მომხრეების მცდელობას, განეცხადებინათ საკუთარი ხედვა თავიანთი სახელმწიფოს მოწყობაზე, უარყოფითი რეაქცია მოჰყვა დარჩენის მომხრეთაგან, რომლებიც ნაციონალიზმს სინამდვილეში ექსტრემიზმად მიიჩნევენ, ხოლო ნაციონალისტები ხულიგანი ფეხბურთის ფანებად წარმოუდგენიათ. ამ პრობლემის გადაჭრას ისინი ევროკავშირში ხედავდნენ და სწორედ ამიტომ უჭერდნენ მხარს იქ დარჩენასაც, თუმცა არის კი ეს ასე? თუკი ჩვენ არ მოგვწონს ის, თუ როგორ ფიქრობენ უბრალო ადამიანები, მაშინ მოგვიწევს მათთვის ამის ახსნა და უკეთესი გამოსავლის შეთავაზება, ახალი სწორი ხედვის ჩამოყალიბება -თუ რა ადგილი და როლი აქვს დიდ ბრიტანეთს დღევანდელ სამყაროში, სწორედ ამ როლის და მნიშვნელობის ვერდანახვამ განაპირობა კიდეც ამომრჩევლის არჩევანი.

ნაციონალიზმის როლი ევროინტეგრაციაში

საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ ევროინტეგრაცია, რომელიც დაიწყო ეკონომიკური ინტეგრაციით, მომავალში აუცილებლად გადაიზრდებოდა და უნდა გადაზრდილიყო კიდეც პოლიტიკურ ინტეგრაციაში, თუმდა გაზრდილმა ურთიერთკავშირებმა და დამოკიდებულებამ ვერ უზრუნველყო საერთო ევროპული

იდენტობის ჩამოყალიბება.



Source: Commission (2011)

(https://www.researchgate.net/publication/228288232_European_Integration_Nationalism_and_European_Identity - nationalism and european integration)

მოცემული გრაფიკი ნათლად აჩვენებს, რომ წლების განმავლობაში სულ უფრო ნაკლები ადამიანი თვლის საკუთარ თავს ევროპელად, და სულ უფრო მეტი, რომელიმე კონკრეტული ერის ნაწილად აღიქვამს თავს. მართალია, ეს ცვლილებები დრამატული არ არის, თუმცა წარმატებული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის შემდგომ ადამიანების შეხედულებები არ იცვლება მათ იდენტობასა და ნაციონალურ კუთვნილებაზე, ეს ყველაფერი კი ზოგად მდგომარეობაზე მსჯელობის შესაძლებლობას გვაძლევს, "War is as old as Europe," განაცხადა Herman Van Rompuy-მ. მისი აზრით, ეს კონტინენტი დაფარულია სხვადასხვა ომის, ბრძოლებისა და სისხლისღვრის დაღებით. ახლანდელ პერიოდში ეს ბრძოლა თითქოს საკანონმდებლო ფურცლებზე გრძელდება და მოსაწყენ პოლიტიკურ პროცესებად იქცა, თუმცა წარსული გენოციდისა და ომის საშინელებების შემდგომ, მსგავსი საფასური ალბათ უმნიშვნელოც კია. თუმცა ეს პოლიტიკაც აღარაა მოსაწყენი, ნაციონალისტური განწყობების ზრდასთან ერთად სულ უფრო მეტი კითხვა ჩნდება ევროკავშირთან და,ზოგადად, ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით. როგორც აქამდე

აღვნიშნე, ნაციონალიზმი შეიძლება იყოს სიკეთის მომტანი, ასევე დესტრუქციული ძალაც. ევროკავშირისთვის ნაციონალიზმის დესტრუქციული იმპულსი შეიძლება დამღუპველიც კი იყოს, თუ მისი გაკონტროლება არ მოხდება. ამოცანა შემდეგში მდგომარეობს: ევროკავშირის წევრებმა უნდა შეძლონ კვლავ გაერთიანება საერთო სიკეთის მისაღწევად, შეიძლება ეს ყველაფერი მარტივად ან უტოპიურადაც კი ჟღერდეს, თუმცა ბევრისთვის ევროკავშირი იქცა ბიუროკრატიის ცენტრად, რომელიც ცდილობს ევროპის ცხოვრების ყველა ასპექტში საკუთარი გავლენის გავრცელებას.

იმისთვის, რომ ბრექსიტი აღარ განმეორდეს სხვა ქვეყნებში, ლიდერებმა უნდა შეძლონ გაბრაზებული, უიმედო ამომრჩევლის დარწმუნება, რომ მათ, ასევე ევროკავშირს, ჯერ კიდევ შეუძლიათ შესაძლებლობებისა და გამოსავლის შეთავაზება, "If citizens feel we are not delivering, how are they going to vote next time".

ბოლო 62 წლის განმავლობაში ერთადერთმა შემთხვევამ, როცა წევრი ქვეყანა ტოვებს ევროკავშირს მრავალი ღია კითხვა გააჩინა, "All over Europe you see the same split," ამბობდა საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრი Le Maire, პასუხი კი ძალიან მარტივი, თუმცა ზოგადია, ევროკავშირი უნდა შეიცვალოს და რაც შეიძლება სწრაფად, სხვა შემთხვევაში ნაციონალური განწყობები სულ უფრო მოიკიდებს ფეხს ევროპის კონტინენტზე. როგორც ჩანს, საჭიროა სწორედ რადიკალური ცვლილებები, რადგან სტატუს ქვოს შენარჩუნებას სკეპტიციზმის მეტი არაფერი მოაქვს.

Francis Fukuyama's 1989 წლის წიგნში "The End of History?" წერდა, რომ მომავალში თანამედროვე დემოკრატიები აუცილებლად შეძლებდნენ ჰარმონიული მმართველობის დამკვიდრებას, კონფლიქტისა და ომების გარეშე, თუმცა თანამედროვე სამყარო არც იმდენად ჰარმონიულია და სულ უფრო ხშირად გვაფრთხილებს, რომ შესაძლოა ეს ისტორია, რომელიც უნდა დასრულებულიყო, დაბრუნდა.

(https://carnegieeurope.eu/strategiceurope/62846 Nationalism Destroys Europe—or Does It?)

დასკვნა

ნაშრომი მიზნად ისახავდა, 2016 წლის რეფერენდუმის შედეგების მიზეზების გამოვკლევას, რაც უკეთ მოგვცემდა საშუალებას, ხაზი გაგვესვა ამ პროცესში იმ მნიშვნელობისთვის, რაც ნაციონალიზმის როლს აქვს ბრექსიტში და, ზოგადად, ევროინტეგრაციაში. ნაშრომში გამოყენებულ იქნა კონსტრუქტივიზმის თეორია, რომელიც ფოკუსირდება ნორმებზე, შეხედულებებსა და წესებზე. მნიშვნელოვანია, არა მატერიალური შესაძლებლობები, არამედ ის, თუ როგორ ხედავდნენ ერთი მხრივ ევროკავშირში, ხოლო მეორე მხრივ, დიდ ბრიტანეთში საკუთარ ადგილსა და როლს მსოფლიოში. კვლევაში გამოყენებული იყო დოკუმენტები, სამეცნიერო კვლევები და ნაშრომები, ინტერვიუები, ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, ისტორიული ფაქტები და გამოცდილებები, საჯარო გამოსვლები და ინტერვიუები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნულ მოვლენასთან.

კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ დიდი ბრიტანეთის ამომრჩევლის უმრავლესობის გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია ნაციონალისტური განწყობების ზრდამ, რამაც ევროკავშირი ამომრჩევლისთვის გააიგივა ორგანიზაციასთან რომელიც მარტივად რომ ვთქვათ ზღუდავდა დიდი ბრიტანეთის სუვერენიტეტს .

შეზღუდვები

მოცემული კვლევის ჩატარებისას იყო გარკვეული ხელისშემშლელი პირობები და გარემოებები, რაც ბუნებრივია, აისახებოდა მის ხარისხზე. ძირითადად ეს შეზღუდვები იმაში გამოიხატა, რომ არ იყო გამოკითხვებისა და ინტერვიუების ჩატარების საშუალება უშუალოდ იმ ადამიანებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ კამპანიის ერთ ან მეორე მხარეს, ასევე იმ ადამიანებთან, რომლებმაც რეფერენდუმის დღეს პირადად მიიღეს გადაწყვეტლება დატოვების ან დარჩენის შესახებ. ასევე იმის გამო, რომ ბრექსიტის პროცესი ჯერაც არ დასრულებულა და კვლავ მიმდინარეობს საკმაოდ რთულია იმ შედეგებზე საუბარი, რაც მას შეიძლება ჰქონდეს და ამაზე ჯერაც კვლავ მოლოდ ვარაუდების გმოთქმა შეგვიძლია.

ბიბლიოგრაფია

1) https://www.theweek.co.uk/brexit-0

2) https://www.quora.com/Why-does-the-United-Kingdom-want-to-leave-the-European-Union

3) https://www.theguardian.com/politics/eu-referendum

4)https://www.theguardian.com/world/2018/jun/27/eu-migration-crisis-what-are-the-issues

5)https://blogs.lse.ac.uk/brexit/2016/07/01/shades-of-grey-is-brexit-going-to-lead-to-european-disintegration/

6)https://blogs.lse.ac.uk/brexit/2016/12/07/how-the-story-subsumed-the-vote-we-have-no-meaningful-direction-about-the-terms-of-brexit/

7)https://blogs.lse.ac.uk/brexit/2016/10/26/indyref2-the-thorny-question-of-scottish-independence-hasnt-gone-away/

8)https://blogs.lse.ac.uk/brexit/2016/07/22/letter-to-friends-2-why-britain-voted-to-leave-and-what-to-do-about-it/

9)https://www.aspeniaonline.it/the-uks-relationship-with-the-european-union-a-tale-of-british-exceptionalism/

10)https://www.bl.uk/collection-items/cover-of-the-mirror-of-british-merchandise-magazine

11)https://www.vox.com/2015/9/5/9265501/refugee-crisis-europe-syria

12)https://www.britannica.com/topic/European-Union/Creation-of-the-European-Economic-Community

13)https://www.thesun.co.uk/news/8209477/britain-join-eu-original-members-join-criteria/

14)https://www.thesun.co.uk/news/2356596/troubles-northern-ireland-belfast-good-friday-agreement/

15)https://fullfact.org/europe/eu-referendum-and-irish-border/

16)http://www.referendumanalysis.eu/eu-referendum-analysis-2016/section-1-context/the-referendum-and-britains-broken-immigration-politics/

17)http://www.referendumanalysis.eu/eu-referendum-analysis-2016/section-7-social-media/leave-versus-remain-the-digital-battle/

18)http://www.referendumanalysis.eu/eu-referendum-analysis-2016/section-8-voters/what-explains-the-failure-of-project-fear/

19)http://www.referendumanalysis.eu/eu-referendum-analysis-2016/section-8-voters/we-want-our-country-back-stop-sneering-start-listening/

20)http://www.referendumanalysis.eu/eu-referendum-analysis-2016/section-5-campaign-and-political-communication/the-rhetoric-of-the-eu-referendum-campaign/

21)http://www.referendumanalysis.eu/eu-referendum-analysis-2016/section-4/how-our-mainstream-media-failed-democracy/

22)http://www.referendumanalysis.eu/eu-referendum-analysis-2016/section-2-politics/remembrance-of-referendums-past-scotland-in-the-campaign/

23) (https://carnegieeurope.eu/strategiceurope/62846 Nationalism Destroys Europe—or Does It?)

24) (https://www.researchgate.net/publication/228288232_European_Integration_Nationalism_and_European_Identity - nationalism and european integration)